# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 175 (6275)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge    ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika    ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ივერიის და ენის გამყიდველები!







კარგია, როდესაც რაღაც კეთდება; ცუდია, როდესაც რაღაც ფუჭდება! | არ ვამბობთ დიდ სიბრძნეს, მარტივი ჭეშმარიტებაა.

კარგი, რომ ზემელზე გაკეთდა უფრო ზუსტად — რეკონსტრუქცია გაუკეთდა ძველს! ახალი სასტუმრო; ცუდია, რომ ამ სასტუმროს აღარ ჰქვია „ივერია“!

ბევრად უფრო ცუდია ის, რომ ამ სასტუმროს ერთი ასოც არ აწერია ქართულად! ყველა მხრიდან მხოლოდ უცხოური წარწერა „რედისონ სას“!

რა არის ეს? — ქართული კანონმდებლობის დარღვევა, სახელმწიფო ენის შეურაცხყოფა!..

რეკლამის შესახებ საქართველოს კანონში ვკითხულობთ:

„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე.

უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.

ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი“.

და კიდევ ერთი პუნქტი რეკლამის კანონიდან: „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენელი ორგანო“.

ვინ არის პასუხისმგებელი, ზემელზე გახსნილ შენობაზე რომ არ არის ქართული წარწერა?

ვის ატყუებთ, თქვე ცოდვისშვილებო — პრეზიდენტო და დედაქალაქის მერო!, ნაციონალო პარლამენტარებო და უცხოურ გრანტებს დახარბებულო მედროვენო!

ივერიის წმინდა სახელიც გინდათ დაავიწყოთ ხალხს?

სამშობლოს და დედაენის გამყიდველები რომ ხართ, ამ მაგალითითაც კარგად ჩანს!


2 აკი ქართულია, უფალო პრეზიდენტო?!


## ჩიქოვანი რაინდულად მოიქცა!

**რა მოხდა გუშინ აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას პროცესზე?**



ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 3 სექტემბერს მომხდარი ფაქტი ალბათ დიდხანს დარჩება ქართული მართლმსაჯულების „უბადლო შედევრად“. სიმართლის თქმის გამო დაკითხვიდან 5 წუთში პოლიციელებმა მოწმე ძალის გამოყენებით დაიჭირეს.

ეს ამბავი აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას სასამართლო პროცესზე მოხდა, რომელიც იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებით არის დაკავებული. მოსამართლე დავით კეკენაძე, პროკურორი დიტო ხვიტია და ვახანიას ხუთი ადვოკატი (მათ შორის ცნობილი ლალი აფციაური) თითქმის 2 საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ მთავარ მოწმეს, ვლადიმერ ვახანიას კარის მეზობელს ჯამბულ ჩიქოვანს (ადვოკატ ჯონი ზარანდიას განმარტებით ჩიქოვანი მოიქცა ისე, როგორც ეკადრებოდა ჩიქოვანებს), რომელმაც საკუთარი თვალით იხილა ვლადიმერ ვახანიას დაკავების უმსგავსო პროცესი. ჯამბულ ჩიქოვანმა დეტალურად განმარტა, რომ პირველი ჩვენება, რომელიც მან მისცა გამომძიებელს, იყო გაყალბებული... გაყალბებული იყო ასევე მისი ხელმოწერაც. ამის გარდა, პირველ ჩვენებაში არ იყო შეტანილი ის ფაქტი, რომ ის, როგორც მოწმე, ვახანიას სახლში პოლიციელების შესვლიდან საათნახევრის შემდეგ მიიწვიეს, რაც აშკარად არ ემთხვეოდა ე.წ. პირველ გაყალბებულ ჩვენებას. ეს არ მოეწონა პროკურორ დიტო ხვიტიას. ამიტომ მან გამოაგზავნინა სასამართლოსთან პოლიციელთა მთელი რაზმი, რაც დარბაზში მსხდომებმა არ იცოდნენ, ჯამბულ ჩიქოვანი ჩვენების შემდეგ ვახანიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოცხადების შემდეგ სასამართლოდან გამოვიდა. მას მოულოდნელად თავს დაესხნენ პოლიციელები და ძალის გამოყენებით, უამრავი ხალხის თვალწინ, წივილ-კივილის ფონზე, მანქანაში ჩატენეს და სამხარეო პოლიციაში გააქანეს.

შესვენების შემდეგ აღშფოთებულმა ადვოკატებმა იერიში მიიტანეს პროკურორ დიტო ხვიტიაზე, მათი განცხადებით ჯამბულ ჩიქოვანის დაკავება მოხდა კანონის უხეში დარღვევით, რომ მსგავსი რამ მათ არც უნახავთ და არც სმენიათ, დიტო ხვიტია კი „ოლიმპიური სიმშვიდით“ უსმენდა ადვოკატებისა და ჯამბულ ჩიქოვანის ახლობლების წყევლა-კრულვასა და ბრალდებას.

აღშფოთებულმა ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სასამართლო დარბაზი, პროცესის გაგრძელებაზე უარი განაცხადა ვლადიმერ ვახანიამაც, რომელმაც ხმამაღლა ბრძანა, რომ მისი დაკავების ოქმი თავიდან ბოლომდე გაყალბებულია!

ლადო ქირია, ზუგდიდიდან



მიხეილ სააკაშვილი:




ედუარდ შევარდნაძე:




ძველი სასტუმრო „ივერია“ იყო უიმედობის, უპერსპექტივობისა და უმომავლობის სიმბოლო და ამ შენობაში უმძიმეს პირობებში მცხოვრები დევნილების დაცინვა იყო, როდესაც შევარდნაძემ და მისმა მთავრობამ „ივერიასთან“ დავით აღმაშენებლის 16-მილიონიანი ძეგლი ზურგით დადგა.

პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლებზე მე კომენტარს საერთოდ არ ვაკეთებ, მაგრამ ერთი რამის განმარტებას კი აუცილებლად ვთვლი. ჩემი საქმიანობის შეფასებისას ყველა ვალდებულია გაითვალისწინოს ის ვითარება, რომელიც საქართველოში 1992 წლისთვის არსებობდა. მაშინდელი საქართველო იყო დანგრეული და მიწასთან გასწორებული, შეიარაღებული ბანდების და ე.წ. „საძმოების“ სათარეშო. ქვეყანას არ ჰქონდა კონსტიტუცია, არ იყო პარლამენტი, მსოფლიო მასშტაბით ვიყავით იზოლირებული (მხოლოდ 2-3 სახელმწიფო გვცნობდა, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს), აღარ ვლაპარაკობ მაშინდელ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე...

## უკულტურო „კულტურული რევოლუცია“





12


## დემოგრაფიული დაცემა გრძელდება!


5-7

## არც ფიცი გვწამს და...

***გუშინწინ** საღამოს კიდევ ერთი ახალი სასტუმრო გაიხსნა და შეემატა თბილისს. ამ სასტუმროს ფოტოკადრები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, ჩვენმა თანამშრომელმა რედაქციის დავალებით მის გახსნამდე ორიოდ კვირით ადრე სპეციალურად გადაიღო.*

*დიახ, სპეციალურად, რადგან მათი გამოქვეყნებით რედაქციას სურდა ეკითხა მათთვის, ვინც ჯერ არს, რატომ არსად არ ჩანდა შენობაზე სიტყვა „ივერია“, რომელიც გადაკეთებულ სასტუმროს, მოგეხსენებათ, ადრე ერქვა და რომელი სიტყვაც ჩვენთვის, ქართველებისთვის, მარტო უბრალო სიტყვა არ არის.*

*მაგრამ რაკი გავიგეთ, რომ სასტუმრო მალე უნდა გახსნილიყო, მასალის პუბლიკაცია დავაყოვნეთ, ვიფიქრეთ, სასტუმროს ფასადზე მანამდე იქნებ „ივერიაც“ გამოჩნდესო. იმედი ხომ ბოლოს კვდება. და ეს „ბოლო“ მისთვის გუშინწინდელი საღამო გამოდგა.*




# აბა ქართულიაო, უფალო პრეზიდენტო?!




## რითი ჰგავს დღევანდელი ქართველების უმეტესობა მოსაჭრელად გამიზნულ-განწირულ ხეს

„რედისონი“ ნამდვილად ქართული საწარმოა, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა სასტუმროს გახსნისას (თურმე „რედისონი“ იმიტომ ყოფილა საწარმო, თანაც, როგორც, პრეზიდენტმა თქვა, საექსპორტო საწარმო, რომ აქ ჩამოსულ-დაბინავებული უცხოელები ამისთვის ფულს გადაიხდიან. საექსპორტო ყოფილა ჩვენი გზებიც, რომლებზე გადაადგილებისთვისაც უცხოელები ფულს გადაიხდიან. რას იზამ, როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო, ნათქვამია. ჰოდა, რაკი უცხოეთში გასატანი (სამრეწველო პროდუქციას ვგულისხმობ) სხვა ბევრი არაფერი გვაქვს და ექსპორტ-იმპორტის სალდო ჩვენთვის კატასტროფულად უარყოფითია, ასეთი „ექსპორტითდა“ თუ მოვიწონ-მოვიტყუებთ თავს!).

თუმცა ახლა ამაზე მსჯელობა სულაც არ არის ჩემი მიზანი და მინდა ბატონ მიხეილ სააკაშვილს ვკითხო: **უფალო პრეზიდენტო, როგორღაა „რედისონი“ ქართული საწარმო, თუ მის ფასადზე ერთი ქართული სიტყვაც არ ჭაჭანებს, თუნდაც ინგლისური შრიფტით აწყობილი?**

**რატომ გაუბედეს ამის გაკეთება ქართველებს „რედისონის“ შინაურ-გარეულმა ინვესტორებმა თუ მეპატრონეებმა?**

მოგეხსენებათ, გავერანებული სასტუმრო „თბილისიც“ შეიძინეს და მშვენივრად აღადგინეს უცხოელებმა, მაგრამ მისთვის არც გარეგნული იერი დაუკარგავთ და, რაც მთავარია, არც სახელი – **აღდგენილ სასტუმროს „თბილისი მერიოტი“ ჰქვია.**

არც „მეტეხი“ მოუსვრია ახალ უცხოელ მეპატრონეს მეტეხის ხიდიდან მტკვარში – **სასტუმროს „შერატონ მეტეხი პალასი“ დაერქვა.**

აქ კი რა ხდება? რატომ გაბედეს ვიღაც-ვიღაცეებმა „ივერიის“ „გადაყლაპვა?“ იმიტომ ხომ არა, რომ არავინაა მათთვის პასუხის მომთხოვნი?

**რა გამოდის? ვარდების რევოლუციამდელი „უვარგისი“ მთავრობა-ხელისუფლება ამჟამინდელზე ბევრად პროქართული და ქართულ-ჯიგრიანი ყოფილა?**

თუ იმის ბრალია ყველაფერი, რომ, რაკი **ყოველივე კარგი, თანაც პირველად საქართველოში, როგორც ამის ხაზგასმით აღნიშვნა უყვართ „ვარდოსნებს“ ჩვენს ქვეყანაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაიწყო, რა საჭიროა, ადამისდროინდელი „ივერია“?**

ერთი რამეც მინდა ვთქვა ჩემი კოლეგების, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტთა საყურადღებოდ: **გამუდმებით ხაზგასმით რომ აღნიშნავნდნენ, ლაპარაკითაც და ტიტრებითაც, სასტუმრო „რედისონ სას ივერია“ გაიხსნაო, რატომ არ დაინტერესდნენ, რად არ აწერია ასე ამ შენობასო?**

თუმცა ეს რომ გაეკეთებინათ, მაშინ ისინი ხომ, ერთი კარგი ქართული კომედიისა არ იყოს, რევოლუციამდელი „გონებაჩლუნგი“ ბავშვები იქნებოდნენ და არა **ისეთი ფხიზელ-ცქვიტები, რომლებსაც, ვთქვათ, პრეზიდენტისკენ გასროლილი ფეხსაცმლის დანახვისას მყისიერად შეუძლიათ კამერის გამორთვა ან, მინიმუმ, ეთერში გაშვებამდე არასასურველი კადრის ამოჭრა.**

ამიტომაც შევარჩიე ამ რეპლიკის რუბრიკად ერთი ფრთიანი ფრაზა, რომლის მიხედვითაც **ჩვენ, დღევანდელი ქართველების უმეტესობას, ხელისუფლების თუ მათი მხარდამჭერი სამივე „რუსთავი-2“-ის არც ფიცი გვწამს და არც ბოლო გვაკვირვებს.**

ახლა კი, რაც შეეხება ქვესათაურს.

ჩვენ, დღევანდელი ქართველობის უმეტესობა, აი, რით ვგავართ მოსაჭრელად გამიზნულ-განწირულ ხეს: ხომ გახსოვთ, როგორ ამოიკვნესა იმ საწყალმა, – ჩემს მოსაჭრელად გამზადებული ცული რას დამაკლებდა, ჩემივე მერქნიდან გამოთლილი ტარი რომ არ ჰქონდესო...

ასე ვართ ჩვენც: **ყოველივე ქართულის ფეხბზეკიდია შინაური თუ გარეული რას დაგვაკლებდა, ჩვენივე ჯილაგის უჯიგრო უფროსობა რომ არ გვყავდეს!**

თუმცა, ჯერ ერთი, ასე იოლად ვერც ვერავინ „მოგვჭრის“, და, მეორეც, ხისგან განსხვავებით ადამიანს თავადაც შეუძლია გადაადგილება და სხვათა **გა-და-ადგილებაც!**

**მთავარი სათქმელი კი აი, რა არის: ივერია გაბრწყინდებაო, ხშირად რომ გვიყვარს თქმა, სწორედ ის „ივერია“ გააბრწყინეთ, ბატონებო, გადაკეთებული ყოფილი სასტუმრო „ივერიის“ შენობაზე, თანაც „რედისონის“ თავზე, რადგან კანონით, თუ სახელწოდების აღმნიშვნელი სიტყვები შენობაზე ვერტიკალურადაა აღბეჭდილი, ზევით ქართული წარწერა უნდა იყოს, ქვევით კი უცხოური, ხოლო თუ ჰორიზონტალურად, მაშინ მარცხნივ ქართული, ხოლო მარჯვნივ – უცხოური.**

**ასეა ეს, ბატონებო! უფრო სწორად, ასე უნდა იყოს ამ ახალგახსნილ „საექსპორტო საწარმოშიც“!**

**რუსლან რუსია**

*P. S. ყველაზე მეტად რამ გამამწარა, იცით? მავან არამზადებს თურმე კი სცოდნიათ, რომ აუცილებელია სიტყვა „ივერიის“ ხსენება და იგი წაუწერიათ კიდეც (ოღონდ ინგლისურად)... „რედისონის“ კაზინოს სკამების საზურგეზე.*

*რ. რ.*

## დღის მთავარი თემა

### ვაი, ჩვენო ქართვლის ბედო!

# „გიჟ ვრაცუებმა“ მოვუხმოთ ჭკუას!

**სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი საქართველოს სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭებას სთავაზობს.**

„გიჟ ვრაცუების“ ხელისუფლება,
სომეხმა რაკი იყნოსა კარგად,
და დაინახა, ეს „გიჟ ვრაცუა“
(მიშაზე ვამბობ), ჩვენს მიწებს კარგავს,
სომეხს მადა აქვს გადასარევი
და იმუქრება ქვეყნის არევით!

„ახია ჩვენზე!“ „ახია ჩვენზე!“
რეკენ ზარები ყოველი მხრიდან,
იმდენჯერ ვიძმეთ, რამდენჯერ მტერიც,
მას პირისაგან მიწისა ჰგვიდა,
და გადარჩენის დღეს შანსი თუა,
„გიჟ ვრაცუებმა“ მოვუხმოთ ჭკუას!

როს გვაფრთხილებდა დიდი ილია,
ჩვენ ნეტარებით გვეძინა ყურზე,
ახლა კი მტერი – გავეშებული,
ყოველი მხრიდან ჩვენს მიწებს უმზერს,
იქით ვანია, აქეთ ხეჩუა,
„გვეცლება ქართლი თვალდახელშუა!“

**ვილენ მარდალეიშვილი**

# ეს მერამდენედ, ჰაოს?!

## ანუ „პროვოკატორებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!.. ოღონდ საქართველოში არა!“

ურთიერთმეზობლობა და თვისტომზე მეტად უცხო ჯიშის მოფერება-დაცვა ქართველებს ოდითგან გვჩვევია, ოღონდ გააჩნია, ვინ როგორ დაინახავს ჩვენებურთა ამგვარ ქცევას. თავს არ შევაწყენთ ისტორიულ ლაბირინთებში ხეტიალით, თუ რომელი საუკუნეებიდან შევიფარებდით და ლუკმას ვუყოფდით სხვა ერის შვილთ. საბჭოეთის დროს თავი იმითაც მოგვწონდა, რომ მზიურ საქართველოში ასზე მეტი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. ცხოვრობდნენ არა გაფანტულად, არამედ კომპაქტურადაც სამცხე-ჯავახეთსა თუ შიდა ქართლში, აფხაზეთსა თუ კახეთში, აჭარასა თუ იმერეთში...



მათ ღალატსა და დაუნდობლობაზე ოდითგან თვალს ვხუჭავდით, სტუმარ-მასპინძლობის წესს ვიცავდით. ვაგლახ, რომ სტუმარი უკვე მასპინძელი ხდებოდა და, გარეულმა შინაური გააგდოო, ამ პრინციპით სურდა ცხოვრება.

ათასგვარ მითებსაც ვთხზავდით, რომ მათთვის გული არ გვეტკინა და სტუმრობა არ გვეგრძნობინებინა. ჰაოსისა და ქართლოსის ძმობიდან დაწყებული, ჩრდილო კავკასიელების უხსოვარი დროიდან ერთ სისხლ და ერთ ხორც დამთავრებული.

გვიგანებდნენ...

გვიგანებდნენ და მერე რა დროს, როდესაც ყველაზე მეტად გვიჭირდა. ზურგში ხანჯალჩარტყმულნი ვრჩებოდით მოძმისაგან ნაღალატევნი, მაგრამ მოვმაგრდებოდით, გავძლიერდებოდით და კვლავ „ძმები“ ვხდებოდით. ჩვენ მტრობას ვივიწყებდით და ისინი ძმობას. არ გვესმოდა აქა-იქ ამონაკვნესი „ქვათა ღაღადისა“, არ გვესმოდა ან... არ გვსურდა, ყური დაგვეგდო ბრძენთა შეგონებისთვის. არადა უმეტესწილად ის სახარებისეული შეგონება, რომელიც მათ არ ესმოდათ – მარცხენაში გარტყმისა და მარჯვენის შეშვერის შესახებ – მათს წისქვილზე მიუშვებდა წყალს.

ამის მაგალითი წარსულშიც მრავლად ყოფილა და ჩვენ თანამედროვეობაშიც, რასაც თავადაც შევსწრებივართ და თავადვე გვიწვნევია.

მუჰაჯიროების დროს გადარჩენილი აფხაზები ჩვენ შევიფარეთ, ქართველთა და აფხაზთა ძმობის ლამპარს სხვანი რომ ქარაშოტს უმზადებდნენ, ჩვენ ორთავხელს შემოვააბჯრებდით და ჩაქრობისგან ვიცავდით. პირველი უნივერსიტეტი აფხაზეთში, პირველი აფხაზური თეატრი, აფხაზური სკოლები, უფლებაგადამეტებული ავტონომია, საკუთარი ჰიმნი და დროშა, რომ არაფერი ვთქვათ შერეულ ოჯახებზე, იმით დაგვიფასეს ქართველებს, რომ ათასობით უცხოთესლთან შეკრულნი „უფროსი ძმის“ – რუსეთისაგან წაქეზებულნი, მტრებად გვექცნენ. შედეგი – ათასობით უმოწყალოდ დახვრეტილი მშვიდობიანი მოსახლე და თავისავე სამშობლოში ასიათასობით დევნილი.

ჩრდილო კავკასიიდან სამაჩაბლოში შემოფარებული ალანები ოდითგანვე ძმებს გვიწოდებდნენ, მეფე თამარისა და დავით სოსლანის სიყვარულზე ვზრდიდით შთამომავლობას. აქაც ზედმეტი არ იქნება, რომ აღვნიშნოთ – პირველი ოსურენოვანი თეატრი, სკოლები (სხვათა შორის, მათს ჩრდილოელ თანამოძმეებს, რომელთაგანაც ახლა შეერთება სურთ და ერთიანი ოსური სახელმწიფო რუსეთის ფრთებქვეშ შეყუჟონ, ჩრდილო ოსეთში არც ერთი ოსური სკოლა არ ჰქონიათ), ინსტიტუტი, მწერალთა კავშირი, ყოველგვარი პრივილეგიები და... აქაც ღალატი. სწორედ იმ დროს გვესხმოდნენ ჩვენს მიერ შეფარებული გადამთიელები, როდესაც ყველაზე მეტად გვიჭირდა. სწორედ მაშინ ავიწყდებოდათ ძმობა და... კვლავ ათიათასობით დევნილი ქართველი, მიწასთან გასწორებული მათი ადგილ-მამული, უმოწყალოდ დახოცილი ათასობით ადამიანი... ნაცნობი სცენარია რუსთაგან დაწერილი და მათივე რეჟისორობით დადგმული.

იხ. 11 გვ.

№ 175. პარასკევი, 4 სექტემბერი, 2009 წელი.

## დროის ანატომია

# გლობალიზაცია – განვითარებადი ქვეყნების დაკაბალების ინსტრუმენტი

***ცნობილია, რომ განვითარებადი სამყაროს არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში გლობალიზაციას არ გამოუწვევია საერთო კეთილდღეობის ზრდა. როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი ჩალმერს ჯონსონი თავის წიგნში „იმპერიის ტკივილები“ წერს, „გლობალიზაციის დოქტრინა სხვა არაფერია, თუ არა ლამაზად შეღებილი ფასადი, რომლის საშუალებითაც იგი თავის მსხვერპლს განვითარებად ქვეყნებში ამშვიდებს და მისი ყურადღება გადააქვს სხვა თემებზე, სანამ მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს რესურსებისაგან ფიტავენ და ისეთ მდგომარეობაში აგდებენ, რომ ვერასოდეს შეძლონ იმპერიული ძალებისადმი წინააღმდეგობის გაწევა“.***

დიდი ქვეყნები ჩააგონებენ ღარიბი სამყაროს მოსახლეობას, რომ ღია ბაზრები, თავისუფალი ვაჭრობა ყველას კეთილდღეობას ნიშნავს, რაც ძირშივე არასწორია. ეს ხელს აძლევთ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებმაც იზრუნეს საამისოდ და ფლობენ ამ ბაზრებით მანიპულირების ძალასა და რესურსებს. ამიტომაც არის, რომ გლობალიზმს ყველაზე მეტი მომხრეები ამერიკელ ეკონომისტებსა და პოლიტოლოგებში ჰყავს.

დღეს არსებულ 25 მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას წარმატებისათვის არ მიუღწევია გლობალიზაციის მიერ ნაქადაგები რეცეპტებით. ყველა მათგანმა მეტნაკლებად ერთნაირი გზით და საშუალებით მიაღწია ამას – ესაა ეკონომიკური პროტექციონიზმი. მათ საკუთარი ბაზრები მაღალი საბაჟო ტარიფებისა და კიდევ ბევრი „არასატარიფო“ სავაჭრო დაბრკოლების შექმნის გზით გააძლიერეს. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ 1840 წელს დაუშვა. 1790 წლიდან 1940 წლამდე აშშ მსოფლიოში ბაჟებითა და სავაჭრო ბარიერებით ყველაზე უფრო დაცულ მაკროეკონომიკას წარმოადგენდა. ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც 1970-80-იან წლებში არც ერთი იაპონური მანქანა არ მოძრაობდა, სამხრეთ კორეა იყო, რომელიც ამ პერიოდში საკუთარი საავტომობილო ინდუსტრიის ორგანიზებას იწყებდა. თითოეულმა ამ ოდესღაც „განვითარებადმა“ ქვეყანამ სხვადასხვა მეთოდით მოიპოვა პროგრესული ტექნოლოგიები იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც მათ განვითარებას უწყობდნენ ხელს, იკვლევდა და აანალიზებდა ამ ტექნოლოგიებს და შემდეგ მიზნობრივად დებდა ინვესტიციებს მათ გაუმჯობესებასა და განვითარებაში. სახელმწიფო იცავდა და მხარს უჭერდა წარმატებულ სამამულო საწარმოებს, რომლებშიც ექსპორტიორობის პოტენციალს ხედავდა.

მოკლედ, მსოფლიოში არსებული მცირერიცხოვანი (25 ქვეყანა 200-დანძ წარმატებული ქვეყნები ზუსტად იმის საწინააღმდეგოს აკეთებდნენ, რაც მათ გლობალიზაციის თეორეტიკოსთა მიხედვით უნდა გაეკეთებინათ, ხოლო ვინც გაატარა გლობალისტთა თეზისები – „თავისუფალი ვაჭრობის“ შემოღება, კომუნალური საწარმოების გაყიდვა, კაპიტალის გადაადგილებებზე კონტროლის მოხსნა, საკუთარი მეწარმეებისათვის პრივილეგიების გაუქმება და ა.შ. – ყველამ კატასტროფული შედეგი მიიღო ამ ქვეყნების რიცხვში შედის საქართველოც, რომლის ეკონომიკა ფაქტობრივად დაინგრა.

1981 წლიდან აშშ გლობალიზაციის დროშით და მის საფარველქვეშ ახორციელებს საგანგებო სტრატეგიას, რომელიც 2 რამის რეალიზაციას ისახავს მიზნად: ერთი მხრივ, იგი ცდილობდა სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმის (როგორიცაა იაპონიაშიძ დისკრედიტაციას და იაპონური მოდელით განვითარებადი აღმოსავლეთ-აზიური ქვეყნებიდან დანარჩენ მსოფლიოში ამ მოდელის გავრცელების დამუხრუჭებას. მეორე მხრივ, იგი ცდილობდა განვითარებადი, მესამე სამყაროს ქვეყნების სუვერენიტეტის შესუსტებას, რათა გაძლიერებულიყო მათი დამოკიდებულება მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ამ სტრატეგიის განხორციელების ბერკეტებად გამოიყენა ჯერ მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მერე კი 1995 წლიდან შექმნილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსოძ.

რეალურად მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი აშშ ფინანსთა სამინისტროდან კონტროლდებიან. ორივეს რეზიდენცია მდებარეობს ვაშინგტონში, ორ მეზობელ ქუჩაზე, თანაც ორივე ისეთ სისტემაზეა დაფუძნებული, რომ აქ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ აშშ ფინანსთა მინისტრის თანხმობის გარეშე. 1980-იან წლებში აშშ-მა ორივე ორგანიზაციას მიანიჭა „მესამე მსოფლიოს“ ვალების პრობლემების მოგვარების პრეროგატივა და მისცეს ორი მითითება: პირველ რიგში იზრუნეთ იმისთვის, რომ მოვალე ქვეყნები საკუთარი ვალების გასტუმრებას ნაწილობრივ მაინც მოემსახურებიან და ოფიციალურად გადახდისუუნაროდ არ გამოაცხადებენ თავს, ამასთან, ამ ქვეყნებს იმდენი ფული გამოსძალეთ, რამდენიც შესაძლებელია.

ძალიან მალე მესამე სამყაროს ქვეყნების უმრავლესობა მოექცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური იდეოლოგიის წნეხში და 2000 წლისათვის 90 სახელმწიფო (მათ შორის საქართველოძ ვაშინგტონის მიერ გამოწერილი შოკური თერაპიის ფარგლებში „სტრუქტურულად ადაპტირებული“ გახდა.

ეს ქვეყნები თავიანთი ვალების მოსამსახურებლად ახალ კრედიტებს იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ შეასრულებდნენ მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის „რეკომენდაციებს“ (სინამდვილეში ბრძანებებსძ. ისინი პირველ რიგში ითხოვენ ვაჭრობის „ლიბერალიზაციას“, რაშიც იგულისხმება უცხოელებისათვის ადგილობრივ ეკონომიკაში ჩარევის საშუალებებისათვის ყველანაირი ბარიერის მოხსნა. ამის გარდა, მოცემულმა ქვეყანამ უნდა შეამციროს ჯანდაცვისა და განათლების სფეროში სოციალური პროგრამებისათვის გათვალისწინებული ხარჯები, რათა საბიუჯეტო სახსრები გამოთავისუფლებულ იქნას უცხოური ბანკებისადმი არსებული დავალიანების მოსამსახურებლად. შემდგომ ხდება ადგილობრივი სოფლის მეურნეობისათვის სუბვენციების შეწყვეტის იძულება და ამის საპირისპიროდ იმ აგროკონცერნებისათვის დახმარების გაზრდა, რომლებიც აწარმოებენ ყვავილებს ან ხილს. სავალუტო ფონდი ითხოვს, რომ გაუქმდეს კაპიტალზე კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით და უცხოელ ინვესტორებსა და საწარმოებს მიენიჭოთ უფლება, შეისყიდონ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კომუნალური საწარმოები, სატელეფონო და სატრანსპორტო კომპანიები და ნედლეულის მომპოვებელი საწარმოები (ყოველივე ეს საქართველოში უკვე უცხოელთა ხელშიაძ.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც შემდეგი მოთხოვნაა: თუკი განვითარებად ქვეყანას სურს მსოფლიო ბანკისაგან კრედიტის აღება, მან საკუთარი ვალუტის კონვერტაბელურობა უნდა უზრუნველყოს. ამრიგად, ეს სახელმწიფო იძულებული ხდება, გაცვლითი კურსის მიუხედავად, საკუთარი ვალუტა უცხოურ საანგარიშსწორებო საშუალებებზე გაყიდოს და ამით მისი მომავალი ღირებულების განვითარება სასპეკულაციო ოპერაციებზე დამოკიდებული გახადოს. ასეთი პროგრამები, როგორც წესი, ისე ასუსტებენ ამა თუ იმ ქვეყანას, რომ იგი პერიოდული ეკონომიკური კრიზისებით მოცემულ კლეპტოკრატიად ყალიბდება.




ამის გარდა სამუშაო ბაზარი დამოკიდებული ხდება დასავლურ კონცეფციებზე, რომლებიც იმ მომენტში უკვე პრაქტიკულად მთელი სამომხმარებლო საქონლისა და საზოგადოებრივი მომსახურების სექტორის ერთმანეთში გაყოფას ასწრებენ. ამ პოლიტიკის არქიტექტორი და მთავარი მოგებული მხარე აშშ-ია.

მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის ყველაზე თვალსაჩინო მსხვერპლი გახდა ერთ დროს მდიდარი და განვითარებული ქვეყანა – არგენტინა.

1991 წლის თებერვალში არგენტინამ გადაწყვიტა საკუთარი ეკონომიკის რადიკალურად გადაკეთება აშშ-ის მოდელის მიხედვით. პრეზიდენტმა კარლოს მენემმა ეკონომიკის მინისტრად მოიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტში განათლებამიღებული ეკონომისტი დომინგო კავალლო. მან არგენტინის ეკონომიკა მასობრივად გახსნა უცხოური ინვესტორებისათვის (როგორც ეს კეთდება დღეს საქართველოშიძ და არგენტინული პესო მიაბა ამერიკულ დოლარზე (1=1ძ. ორივე ვალუტა თავისუფალ ბრუნვაში გაუშვეს. არგენტინა სავალუტო ფონდის ნეოლიბერალურ სავაჭრო-ეკონომიკურ პრინციპებს და რეცეპტებს ყველა ქვეყანაზე გულმოდგინედ ატარებდა ცხოვრებაში. 1998 წელს მისი ბანკების 80 პროცენტი უკვე უცხოელებს ეკუთვნოდა. თავდაპირველად პესოს დოლარზე მიბმამ არგენტინის პოზიციები გააძლიერა საერთაშორისო ვაჭრობაში, მაგრამ, როცა დოლარის ფასმა მოიმატა და კონკურენტმა ქვეყნებმა თავიანთი ვალუტის კურსი დაწიეს, მათი პროდუქცია გაიაფდა არგენტინულ პროდუქტთან შედარებით. ვინაიდან არგენტინაში ეროვნული მასშტაბით განხორციელებული სამეწარმეო ტრანსაქციების დიდი ნაწილი დოლარში იყო განხორციელებული და საბანკო ანგარიშები ასევე დოლარში გახსნილი, არგენტინის მთავრობამ ვერ მოახერხა პარიტეტის გაუქმება. შედეგად არგენტინული პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე გაძვირდა და მთავრობა იძულებული გახდა, აეღო კრედიტები, რათა ეკონომიკა სრული კოლაფსისაგან ეხსნა.

ამ მომენტიდან არგენტინამ დაამყარა უსიამოვნო რეკორდი – მას კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი დავალიანება დაუგროვდა – 160 მილიარდი დოლარის ოდენობით. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ერთ წელიწადში 68 პროცენტით შემცირდა, მოსახლეობის ნახევარზე მეტი, რომელიც საშუალო ფენას ეკუთვნოდა, სიღატაკის ზღვარს ქვევით აღმოჩნდა. მთავრობამ კვლავ სავალუტო ფონდს მიმართა დახმარებისათვის. ფონდმა არგენტინის მაშინდელ პრეზიდენტს ფერნანდო დე ლა რუას კრედიტების წინაპირობად დაუდო მკაცრი საბიუჯეტო ეკონომიის კურსის გატარება – ხალხი გაათავისუფლეს საჯარო სამსახურებიდან (როგორც საქართველოშიძ, შემცირდა ხელფასებისა და პენსიების სიდიდე, გაუქმდა ხელფასების დანამატი პრემიები. ამის შემდეგ მასობრივმა დემონსტრაციებმა და პოლიციის ტერორმა ქვეყნის ეკონომიკა თითქმის დაანგრია. 2000 წლის დეკემბერში სავალუტო ფონდმა არგენტინას თანხმობა გამოუცხადა 40-მილიარდიან კრედიტზე იმ პირობით, თუ მთავრობა განაგრძობდა საგარეო ვალების მომსახურებას და ღარიბებისათვის სოციალური დახმარების შემცირებას. ეს ისეთი პირობები იყო, რომელთა მიღებაც უკვე არც ერთ მთავრობას არ შეეძლო. მომდევნო 14 თვის მანძილზე ქვეყანამ 5 მთავრობა და 6 ეკონომიკის მინისტრი გამოიცვალა. რადგანაც არგენტინის მთავრობა სავალუტო ფონდის მითითებებს ამჯერად ისე აღარ ახორციელებდა და ეს ქვეყანა აშშ-სთვის ნაკლებ სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებდა (ვიდრე, მაგალითად, ასევე დიდი დავალიანების მქონე თურქეთიძ, სავალუტო ფონდმა უარი განუცხადა არგენტინას კრედიტებით დახმარებაზე. შედეგად, არგენტინაში ინფლაციამ 10 წლის განმავლობაში პირველად ისევ მიაღწია ორნიშნა რიცხვს, პესოს ღირებულება 220 პროცენტით დაეცა და საზოგადოებრივი წესრიგი მოიშალა. საბოლოოდ არგენტინა – ლათინური ამერიკის ეს ერთი ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანა, წარუმატებლობის საჩვენებელ მაგალითად იქცა – ნეოლიბერალიზმის, გლობალიზაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წყალობით.

**ამ ქვეყნების რიცხვში შედის საქართველოც, რომლის ეკონომიკა ფაქტობრივად დაინგრა.**

არგენტინის მაგალითი საქართველოს ხელისუფლებისათვის საერიოზულ გაფრთხილებად უნდა იქცეს. აქედან კარგად ჩანს, რა შედეგები მოაქვს სხვის ჭკუაზე სიარულს, ღია საზღვრებს, თავისუფალ ვაჭრობას, ყველა სტრატეგიული ობიექტის სხვებზე მიყიდვას, ეკონომიკური პროტექციონიზმის არგატარებას და ქართული ბიზნესისათვის არდახმარებას.

**ვაჟა შუბითიძე**

## ინფორმაცია

### ქართველები პოლონეთის პრეზიდენტმა გააბრიყვა, შედეგი?..

**მინსკის მედია ბელორუსის დასავლეთ საზღვარზე ქართველ ლტოლვილთა დიდი რაოდენობის თავმოყრის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. მათი აზრით, ქართველთა მასობრივი ნაკადები პოლონეთისაკენ გასულ წელს ამ ქვეყნის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის თბილისში ვიზიტის შემდეგ დაიწყო.**

**– მაშინ პან კაჩინსკიმ განაცხადა, რომ ქართველებს შეუძლიათ არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ მთელი ევროპის იმედი ჰქონდეთ,– წერს ბელორუსული მედია.**

**თვითმხილველთა თქმით, საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას, რომლებიც ბელორუსისა და პოლონეთის საზღვარზე იმყოფებიან, შენგენის ვიზა არ გააჩნიათ. როგორც ჩანს, მათმა უმრავლესობამ მართლაც სრული სერიოზულობით დაიჯერა კაჩინსკის სიტყვებისა და ეგონათ, რომ როგორც კი პოლონელ ჯარისკაცს ისინი თავის პასპორტს წარუდგენდნენ, მათ იმ წუთასვე მიიღებდნენ.**

**მათივე ინფორმაციით, გასულ პარასკევს ბელორუსისა და პოლონეთის საზღვარი 201-მა საქართველოს მოქალაქემ გადაკვეთა, მათგან 175 უკან დააბრუნეს. ორშაბათს პოლონეთში მოხვედრა 247 ადამიანმა სცადა, მათგან ბელორუსში 244 დააბრუნეს. სამშაბათს პოლონეთის საზღვარი 175 საქართველოს მოქალაქემ გადაკვეთა, მათგან 172 უკან დააბრუნეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაბრუნებულთა უმრავლესობას ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და საზღვრის გადაკვეთის მცდელობები გაიმეორეს. მათი ძალისხმევა წარმატებით არ დაგვირგვინებულა. ყოველივე ამის შედეგად, კი ამჟამად ბრესტში რამდენიმე ათასი საქართველოს მოქალაქეა თავმოყრილი.**

**ბელორუსის სახელმწიფო სასაზღვრო კომიტეტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე ტიშენკოს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეები პოლონეთში მოხვედრას უკვე საზღვარზე მდებარე საკონტროლო გამშვები პუნქტების გვერდის ავლით, ე.წ. მწვანე ზონებიდან ცდილობენ. ტიშენკო ასევე აცხადებს, რომ მხოლოდ გასულ შაბათსა და კვირას ბელორუსმა მესაზღვრეებმა ამგვარად საზღვრის გადაკვეთის მსურველი საქართველოს 20 მოქალაქე დააკავეს.**

### ეგვიპტის საზღვარს უპრობლემოდ მხოლოდ მამელუქები კვეთდნენ

**ისრაელი-ეგვიპტის საზღვარზე ქართველები დააკავეს.**

**არსებული ინფორმაციით, 8 ქართველი ეგვიპტიდან ისრაელში საზღვრის გადაკვეთას არალეგალურად ცდილობდა.**

**ისრაელში საქართველოს კონსულის განცხადებით, დაკავებულებს შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვია, რომელიც საკუთარ დედასთან ერთად აიყვანეს.**

**მისივე თქმით, ისრაელის საემიგრაციო პოლიციამ, ისინი უკანვე ეგვიპტეში გაამგზავრა, სადაც ისინი ლეგალურად იმყოფებოდნენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ შავი პერსპექტივა?



***ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივაზე და იმაზე, თუ რამდენად სწორად მოიქცა საქართველოს ხელისუფლება, როცა შარშან, აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა და დსთ-დანაც გამოვიდა, „ინტერპრესნიუსი" რუსეთის კვლევის ქართული ინსტიტუტის ხელმძღვანელს, უშიშროების საბჭოს მდივნისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს ნიკა ვაშაკიძეს ესაუბრა.***

# ნიკა ვაშაკიძე:
# ორმხრივი დათბობა მოსკოვიდან უნდა დაიწყოს

**— ბატონო ნიკა, იმ ვითარებაში, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, რა პერსპექტივა აქვს ქართულ-რუსულ ურთიერთობებს?**

— არსებულ სიტუაციაში, მეტნაკლებად კარგ პერსპექტივაზე ახლო მომავალში საუბარი ძნელია. ამ სიტუაციაში, არც საშუალოვადიან პერსპექტივას უჩანს კარგი მომავალი. რუსეთი და საქართველო კავკასიაში „ბუნებრივი მოკავშირეები" კი არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოსა და რუსეთს შორის ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ გარკვეულწილად ჩიხური სიტუაციაა, რაც ახლო მომავალში ურთიერთობების გამოსწორების საშუალებას არ გვაძლევს.

სამწუხაროდ, ობიექტური რეალობა, რომ საქართველო და რუსეთი კავკასიაში ბუნებრივი მოკავშირეები არიან, არ იქნა რეალიზებული და ამ თვალსაზრისით დანაშაულის ლომის წილი რუსეთზეა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქმის 20 წლის განმავლობაში, გარკვეულ მონაკვეთებში პირადად მეც ვიყავი ორმხრივი ურთიერთობების მონაწილე, რუსეთის მხრიდან პოზიტივი პრაქტიკულად არ ყოფილა. იყო მხოლოდ რუსეთის ინტერესების ცალმხრივად წარმოჩენა. რუსეთი საქართველოს მიმართ თითქმის 20 წელი საკუთარი მიზნების მისაღწევად შანტაჟისა და საქართველოს პრობლემების გამოყენების პოლიტიკას ატარებდა. მთავარია ასევე, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული მოძრაობების გაღვივება და შემდეგ, პოლიტიკური დივიდენდების მისაღწევად, შექმნილი რეალობის იარაღად გამოყენება.

ერთი სიტყვით რომ შევაფასოთ ეს სიტუაცია, მთელი რუსული პოლიტიკა კავკასიაში საქართველოს მიმართ აგებული იყო ნეგატიურ ინსტრუმენტებზე და პოზიტიური ინსტრუმენტების საკმაოდ დიდი რესურსი, რომელიც ობიექტურად არსებობდა, უბრალოდ არ იყო გამოყენებული. რუსეთის მხრიდან ეს პოლიტიკური შეცდომა იყო. ისტორიაში ასე პოლიტიკა არ კეთდება და ალბათ ვერც მომავალში გაკეთდება. სწორედ ამან მიგვიყვანა იმ მძიმე ვითარებამდე, რომელშიც ახლა ორმხრივი ქართულ-რუსული ურთიერთობებია. ჩემი აზრით, რუსეთში ზოგიერთი პოლიტიკოსი, მათ შორის უმაღლესი რანგის პოლიტიკოსები არიან იმ ილუზიაში, რომ მათ რეგიონში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონში რუსეთის ინტერესებს, თავად მათ მიაყენეს დიდი ზიანი.

**— ისტორიულად, კავკასიის საკითხებში რუსულ-ქართული „ბუნებრივი მოკავშირეობა" საკმაოდ მარტივ სქემას ეფუძნებოდა — საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის გასაძლიერებლად. ახლა, როცა საქართველო დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრირებას ცდილობს, „ბუნებრივი მოკავშირეობა" პრაქტიკულად შეუძლებელია და რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთი საქართველოზე თავისი გავლენის აღსადგენად ჩრდილოეთკავკასიის ფაქტორის გამოყენებას ცდილობს...**

— ის, რასაც ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას უწოდებენ, არ იყო სახელმწიფოთაშორისი პარტნიორობა და ერთობლივი პოლიტიკა. იმ დროისთვის საქართველო უკვე იყო რუსეთის იმპერიის ნაწილი, ქართული თავადაზნაურობა უკვე იყო რუსეთის თავადაზნაურობის ნაწილი და მათ, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებმა თავისი მოვალეობა შეასრულეს მონარქის წინაშე და განახორციელეს ის ღონისძიებები, რომელმაც ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერებას. ეს თვისობრივად სხვა საკითხია, ვიდრე რეგიონში რუსეთ-საქართველოს, როგორც სახელმწიფოებს შორის სტრატეგიული პარტნიორობა.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიაში დღევანდელ სიტუაციას, ვითარება უკიდურესად იძაბება და ეს პროცესი ინტენსიფიკაციის გზით მიდის. ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთში დაძაბულობას უკვე კარგა ხანია დაემატა ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთში დაძაბულობა. სულ უფრო და უფრო მეტ სიმწვავეს იძენს ე.წ. ჩერქეზული პრობლემა. ჩემი აზრით, ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად ეს კიდევ და კიდევ უფრო გამწვავდება, ვინაიდან ჩერქეზები მკრეხელობად მიიჩნევენ სოჭსა და კრასნაია პოლიანას ტერიტორიაზე ოლიმპიური ობიექტების მშენებლობასა და იქ ოლიმპიადის ჩატარებას, რადგანაც ეს ზუსტად ის ადგილებია, სადაც მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ჩერქეზი ხალხის გენოციდის პოლიტიკა განახორციელა. ყველა ნიშნებით ჩანს, რომ ეს საპროტესტო მოძრაობა კიდევ უფრო მოიკრებს ძალას. იქ, შეიარაღებული ძალების სახით საკმაოდ ძლიერი იატაკქვეშეთი მუშაობს, მათ საკმაოდ ძლიერი მხარდაჭერა აქვთ საზღვარგარეთ. საზღვარგარეთ, ჩრდილოკავკასიური ხალხებიდან, ჩერქეზულ დიასპორას ყველაზე ძლიერი დიასპორა ჰყავს. ჩემი მონაცემებით, მსოფლიოში ჩერქეზული დიასპორა თითქმის მილიონს აღწევს და რამოდენიმე სახელმწიფოში ჩერქეზებს საკმაოდ ძლიერი პოზიციები უჭირავთ. საუბარია ემიგრაციაში მყოფი მთავრობის შექმნაზე და მათ კავშირზე ჩერქეზეთში მოქმედ ადგილობრივ მოძრაობასთან.

რაც შეეხება იმას, რომ რუსეთი თავად აღვივებს ჩრდილოეთკავკასიურ თემას, მე ცოტა სხვაგვარად ვუყურებ. ჩემი დაკვირვებით, ეს რუსეთის პრობლემაა. რუსეთს ამ პროცესებზე კონტროლი ხელიდან ეცლება და ისინი სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან, რომლის გადაწყვეტის გათვლილი და გარანტირებული სქემები და მექანიზმები ხელისუფლებას შემუშავებული არ აქვს. რუსეთის ის სამსახურები, რომლებიც უნდა გაუმკლავდნენ ამ პრობლემას, ამ სპეციფიკისთვის მოუმზადებლები არიან და არ ჩანს, რომ მათ მოკლე დროში შეძლონ იმ სახით ტრანსფორმირება, რომელიც მათ ეფექტურად მოქმედების საშუალებას მისცემს. ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ველოდოთ ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის ესკალაციას, თუმცა ეს პროცესი ალბათ საქართველოსთვისაც სახიფათო იქნება. ამდენად, ჩვენ ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალი ამ პროცესს და ჩვენი სახელმწიფო უნდა გავაძლიეროთ, რომ ამ გამოწვევებს მზადყოფნაში დავხვდეთ.

**— პოლიტიკურ წრეებში აქტუალურია რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის თემა. პოლიტიკურ ჯგუფთა ნაწილი ხელისუფლებას რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას საყვედურობს. სწორად მოიქცა თუ არა შარშან, აგვისტოში საქართველოს ხელისუფლება, როცა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა და დსთ-დანაც გამოვიდა?**

— ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად სწორად მოიქცა. იმიტომ რომ, რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ორი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა. პირველია ფართომასშტაბიანი აგრესია და ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია, მეორე კი - ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და შემდგომ, ამ ტერიტორიების ანექსიისა და ოკუპაციის გაღრმავება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ რეალურად ამ რეგიონებში არანაირ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე საუბარი არ არის და რუსეთი ამ ტერიტორიებს ინტენსიურად ითვისებს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა აბსოლუტურად ლოგიკური და სწორი ნაბიჯი იყო. ჩემი აზრით, ამ ნაბიჯის ყოველგვარი კრიტიკა უადგილოა.

**— სწორად მიგაჩნიათ თუ არა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ვიდრე მოსკოვი უარს არ იტყვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე, რუსეთ-საქართველოს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი ნაადრევია და ამ თემაზე მსჯელობა მხოლოდ პოლიტიკური გულუბრყვილობაა?**

— პირველ რიგში ვიტყოდი იმის შესახებ, რომ თავად რუსეთის მხარემ მისი პრეზიდენტის სახით ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველო მოახდენდა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას, გამოაცხადა, რომ მათ არ ექნებათ არანაირი ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასთან, რომ ისინი საქართველოს ხელისუფლებას პრაქტიკულად არ ცნობენ და რომ საქართველოს პრეზიდენტი მათთვის „პოლიტიკური გვამია" და, შესაბამისად, მოსკოვს თბილისთან არანაირი ურთიერთობა არ ექნება. ამ განცხადებებს მოჰყვა ჩვენს მიერ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, თუმცა, ეს არ იყო მთავარი მიზეზი, მთავარი იყო ის, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აგრესია განახორციელა და საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა.

ვინაიდან საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები იმის გამო გაწყვიტა, რომ რუსეთმა ცნო საქართველოს განუყოფელი ნაწილები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, სანამ ეს რეალობა არ შეიცვლება, ძნელია იმაზე საუბარი, რომ ჩვენი ინიციატივით მოხდეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა.

***საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა აბსოლუტურად ლოგიკური და სწორი ნაბიჯი იყო. ჩემი აზრით, ამ ნაბიჯის ყოველგვარი კრიტიკა უადგილოა.***

აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ჩვენი მხრიდან ამგვარი რამ, გარკვეულწილად, რუსეთის გადაწყვეტილების ირიბად აღიარება იქნებოდა.

ჩემი აზრით, ყველა იმ დანაშაულის შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს წინაშე ჩაიდინა, რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების დათბობის ინიციატივები უფრო მოსკოვიდან უნდა მოდიოდეს, ვიდრე თბილისიდან.



**კობა ბენდელიანი**

◉ ინფორმაცია

## ბაჩო ახალაიას ჯარისკაცებმა მანქანა დაუმტვრიეს?



**ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნის შემდეგ, კვლავ საუბრობენ მასსა და შეიარაღებულ ჯარებს შორის დაპირისპირებაზე.**

**როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, მინისტრსა და შეიარაღებულ ჯარებს შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს.**

**ბაჩო ახალაიას მანქანა არ არის დამტვრეული და არც მინისტრის მოადგილეობის დროს დაუმტვრევია ვინმეს, — აცხადებენ სამინისტროს პრესსამსახურში.**

**თავდაცვის სამინისტროს უარყოფის მიუხედავად, ქართველი ექსპერტები ღიად საუბრობენ მინისტრსა და ჯარს შორის არსებულ კონფლიქტურ ურთიერთობაზე. ექსპერტ გიორგი თავდგირიძის თქმით, ჯარისკაცებში გაღიზიანებას იწვევს ბაჩო ახალაიას სურვილი უშუალო გავლენა ჰქონდეს სამხედროებზე.**

**ზოგიერთის თქმით თავდაცვის მინისტრად დანიშვნამდე ცოტა ხნით ადრე, ახალაიას გორის სამხედრო ნაწილში ჯარისკაცებმა პირადი ავტომობილი დაუმტვრიეს.**

**თავდაცვის მინისტრობამდე, ბაჩო ახალაია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. ამ პოსტზე იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობას კურირებდა.**

## პოლოლიკაშვილი მოადგილეებს აგროვებს



**ეკონომიკური განვითარების მინისტრის ზურა პოლოლიკაშვილს ამ დროისთვის ოთხივე მოადგილე ჰყავს.**

**ზურაბ ალავიძე და გრიგოლ გობეჯიშვილი ამ თანამდებობაზე ახალი დანიშნულები არიან, რაც შეეხება დანარჩენ ორ მოადგილეს ამ დრომდე ამ თანამდებობაზე ისევ რჩებიან ყოფილი ეკონომიკის მინისტრის ლაშა ჟვანიას მოადგილეები სულხან სისაური და ურუზმაგ ქარქუსოვი.**

**როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე შემოსავლების სამსახურის უკვე ყოფილი უფროსი გრიგოლ გობეჯიშვილი იმუშავებს.**

**რაც შეეხება ზურაბ ალავიძეს, ის წარსულში „ვითიბი" ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე იყო, შემდეგ კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ იმყოფებოდა, აღნიშნული თანამდებობა მან გუშინდელი დღიდან დაიკავა, ის მინისტრის ერთ- ერთი მოადგილე იქნება.**

**გავრცელებული ინფორმაციით ეკონომიკის მინისტრის ორივე მოადგილე, პრემიერის ნიკა გილაურის კადრებია.**

**„ექსპრესნიუსი"**

SOS:

# დემოგრაფიული დაცემა გრძელდება!

## მიზნის რეფლექსი და ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები



***ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი თანდათან გლობალურ ხასიათს იძენს და, ბუნებრივია, აისახება საქართველოს, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში მჭიდროდ ინტეგრირებული ქვეყნის ეკონომიკაზეც. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით მისი სიმწვავე აქ გაცილებით ნაკლებად იგრძნობა იმ ფინანსური დახმარებების წყალობით, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ 2008 წლის აგვისტოში გადატანილი რუსეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტის დროს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, სხვადასხვა ქვეყნებისაგან ჰუმანიტარული თუ გრძელვადიანი საკრედიტო სახსრების სახით მიიღო. კრიზისი, რომელიც სამუშაო ადგილებისა და შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლების შემცირების შედეგად, უკვე აისახა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, გაგრძელების შემთხვევაში (ზოგიერთი ექსპერტის ცნობით, ამჟამინდელი კრიზისის მასშტაბებიდან გამომდინარე, ის შეიძლება რამდენიმე წელიწადსაც კი გაგრძელდეს), სავარაუდოდ, მნიშვნელოვან დაღს დაასვამს ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებასაც. თუმცა, დროის სიმცირისა და აქედან გამომდინარე, სხვა გასაგები მიზეზების გამო, კრიზისის დემოგრაფიულ შედეგებზე მსჯელობა ცოტა ნაადრევია. მაგრამ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა და მით უმეტეს მისი პერსპექტივები დამაიმედებელია და მასზე ზრუნვა საჭირო არ იყოს. პირიქით, საქართველოში ამჟამად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული მდგომარეობა, უფრო ზუსტად კი კრიზისი, სახელმწიფოს მხრიდან სასწრაფო რეაგირებას დღესვე მოითხოვს და არ ითმენს გადადებას.***

როგორც ცნობილია, დემოგრაფიული კრიზისი არის მდგომარეობა, როცა მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმი ისეა დარღვეული, რომ საფრთხეს უქმნის მის არსებობას, ანუ ადგილი აქვს მოსახლეობის განუხრელ კლებას, ე.წ. „დეპოპულაციას,“ და თუ დროულად არ მოხდა მისი დაძლევა, პრაქტიკულად გაქრობით ემუქრება ასეთ მდგომარეობაში მყოფ ერებს.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს საქართველოში არსებული დემოგრაფიული კრიზისის სიმწვავე, საკმარისია თვალი გადავავლოთ ბოლო წლების დემოსტატისტიკურ მონაცემებს.

რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ხანგრძლივ პერიოდზე (მაგალითად, 1992 წელს აღირიცხა საქართველოს მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა — 5467,4 ათასი კაცი), ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 2006 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე მცირდებოდა და შესაბამისად, 4 401,3-დან, 4 385,4[2] ათას ადამიანამდე, ანუ 15,9 ათასით, ე.ი. წელიწადში საშუალოდ 5,3 ათასით შემცირდა.

როგორც წესი, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას (ჩვენს შემთხვევაში კი კლებას), განაპირობებს ბუნებრივ მატებასა (სხვაობა შობადობისა და მოკვდაობის დონეთა შორის) და მიგრაციის სალდოში (სხვაობა ჩამოსულთა და წასულთა რიცხვებს შორის) მომხდარი ცვლილებები.

2008 წელს, წინა წელთან შედარებით, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 3,3 ათასი ადამიანით მომატება, გამოწვეული იყო ერთი მხრივ დადებითი ბუნებრივი მატებითა (13 554 ადამიანი, ანუ 3,1 ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით) და უარყოფითი მიგრაციული სალდოთი (წასულების რიცხვმა ჩამოსულთა რიცხვს გადააჭარბა 10,2 ათასით).

როგორც დემოგრაფიული ანალიზიდანაა ცნობილი, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაზე მოქმედი დემოგრაფიული პროცესებიდან (შობადობა, მოკვდაობა და მიგრაცია), თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა შობადობის დონის შემცირებას ენიჭება. ამიტომაც, ადგილისა და დროის ეკონომიის მიზნით, ჩვენც სწორედ მასზე გავამახვილებთ უფრო მეტ ყურადღებას, რაც ბუნებრივია, სულაც არ ნიშნავს დანარჩენი დემოგრაფიული პროცესების იგნორირებას.

დემოგრაფიული კრიზისის დამახასიათებელ, უფრო დამაჯერებელ მაჩვენებლად კი მიჩნეულია მოსახლეობის კვლავწარმოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, ე.წ. „შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი,“ რომელმაც იმავე 2008 წელს 1,67[3] შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ 2008 წელს არსებული შობადობის ასაკობრივი ინტენსივობის შენარჩუნების პირობებში, ერთი ქალი, მთელი თავისი ფერტილური ასაკის (15-49 წელი) განმავლობაში საშუალოდ იყოლიებდა 1,67 ბავშვს, ანუ 100 ქალი გააჩენდა 167 ბავშვს.

დემოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებისათვის (ანუ როდესაც შვილების თაობა რაოდენობრივად მშობლების თაობის ტოლია), აუცილებელია, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი არ იყოს 2,1-ზე ნაკლები. მაშასადამე, 2008 წლის მონაცემებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პერიოდში 15 წლის ასაკს მიღწეული ყოველი გოგონა, თავისი ფერტილური ასაკის ბოლოს (49 წელი, ე.ი. 34 წლის შემდეგ), საშუალოდ იყოლიებს 1,67 ბავშვს, თუკი, რა თქმა უნდა, მისი, ფერტილურ ასაკში ყოფნის განმავლობაში, შენარჩუნებული იქნება ასაკობრივი შობადობის ისეთივე ინტენსივობა, როგორიც 2008 წელს ჰქონდათ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მყოფ ქალებს. ე.ი. მოყვანილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2008 წლის შობადობის დონე მხოლოდ 79,5 პროცენტით უზრუნველყოფდა მოსახლეობის მარტივ კვლავწარმოებას, რაც სხვაგვარად ნიშნავს, რომ არსებული დემოგრაფიული ვითარების შენარჩუნების პირობებში, სულ რაღაც ერთი თაობის შემდეგ (დაახლოებით 30 წელი) მოსახლეობის რიცხოვნობა 20,5 პროცენტით დაიკლებს.

აქ შესაძლოა გამოითქვას გარკვეული სკეპტიკური დამოკიდებულება შობადობის დონის უცვლელად (30-წლიანი, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში) შენარჩუნებასთან დაკავშირებით. მართლაც, ამხნის განმავლობაში შეიძლება შობადობის ინტენსივობა საკმაოდ შეიცვალოს, მაგრამ, როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს მისი ცვლილების გენერალური ვექტორი მხოლოდ შემცირებისკენაა მიმართული და არარეალისტურია იმის მოლოდინი, რომ კარდინალური დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა გატარების გარეშე, მისი დონე, მოსახლეობის, თუნდაც, მარტივ კვლავწარმოებას უზრუნველყოფს.

ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად კი აუცილებელია ადეკვატური წარმოდგენა გვქონდეს არსებული დემოგრაფიული კრიზისის გენეზისზე, რათა დროულად და სწორად შევძლოთ იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რამაც ის განაპირობა. მაგრამ სამწუხაროდ, თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისის მეცნიერულ ახსნაში, სპეციალისტები, დღემდე არ არიან ერთიანნი. გაჭიანურებული კრიზისის მიზეზების ახსნას ისინი უამრავი სხვადასხვა თეორიით (სოციალურ-ეკონომიკური დეტერმინიზმისა და მოსახლეობის ოპტიმუმის, ქრონიკული სტრესისა და საერთო ადაპტაციური სინდრომის, დინამიკური სტერეოტიპისა და სულიერ-დემოგრაფიული დეტერმინაციის, საზოგადოების მეტისმეტი ალკოჰოლიზაციისა და ა.შ.) ცდილობენ.

ამასთან, დემოგრაფიული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზისას, ბევრი ისეთი საკითხი იჩენს ხოლმე თავს, რომლებიც დღემდე პასუხგაუცემელია. მაგალითად, ვერ იხსნება დროის მოკლე პერიოდში მოსახლეობის შობადობისა და მოკვდაობის დონეთა მკვეთრი და სწრაფი ზრდა, რადგანაც ჯანმრთელობაზე მოქმედი ტრადიციული ფაქტორები და მათი რეალიზების მექანიზმები, შედეგების მიღებას, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გულისხმობს.

მსგავს საკითხებზე პასუხების გაცემა კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც მათზეა დამოკიდებული მიმდინარე დემოგრაფიული კრიზისის დაძლევისათვის შემუშავებული ღონისძიებების შედეგიანობა. დემოგრაფიული ანალიზის შედეგად, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს არსებობს რაღაც ზოგადი მექანიზმი, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესთა მიმდინარეობაზე, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ და საზოგადოებრივ დონეებზეც. თანაც, სიტუაციიდან გამომდინარე, მის მოქმედებას შეუძლია, როგორც გააძლიეროს, ასევე გაანეიტრალოს სხვა ფაქტორების გავლენაც.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ასეთი მექანიზმის როლს ასრულებს, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ცნობილი რუსი ფიზიოლოგის, ი.პ. პავლოვის მიერ შემოთავაზებული ე.წ. „მიზნის რეფლექსის“ განვითარების ან დათრგუნვის დონე. მაგალითად, 1916 წლის 2 იანვარს პეტროგრადში, ექსპერიმენტული პედაგოგიკის III ყრილობაზე, „მიზნის რეფლექსი“-ს შესახებ წაკითხულ მოხსენებაში ი.პ. პავლოვი წერდა:

— „მიზნის რეფლექსს უდიდესი ცხოვრებისეული მნიშვნელობა აქვს, ის არის თითოეული ჩვენგანის სასიცოცხლო ენერგიის ძირითადი ფორმა. მხოლოდ იმისი ცხოვრებაა მშვენიერი და ძლიერი, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიისწრაფის მიღწევადი, მაგრამ ყოველთვის მიუღწეველი დასახული მიზნისაკენ, ან ერთნაირი გზნებით გადადის ერთი მიზნიდან მეორეზე. მთელი ცხოვრება, მისი ყოველგვარი გაუმჯობესება, მთელი მისი კულტურა მიზნის რეფლექსად იქცევა, იქცევა მხოლოდ იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც თავიანთთვის, ცხოვრებაში, ესა თუ ის მიზანი დაისახეს. კოლექციონერობა ხომ ყველაფრის შეიძლება, წვრილმანების, ისევე როგორც, ყოველგვარი მნიშვნელოვანისა და დიადისა ცხოვრებაში: ცხოვრების კეთილმოწყობა (პრაქტიკოსები), კარგი კანონები (სახელმწიფო ადამიანები), შემეცნება (განათლებული ადამიანები), მეცნიერული აღმოჩენები (მეცნიერები), ზნეობრიობები (ზნემაღალი ადამიანები) და ა.შ...“ გაფუჭებული აპეტიტი, მოშლილი კვება შესაძლოა გულმოდგინე მოვლითა და სპეციალური ჰიგიენით აღვადგინოთ. იგივე შეიძლება და უნდა მოხდეს რუსულ ნიადაგზე ისტორიულად დაბეჩავებულ, მიზნის რეფლექსთან დაკავშირებითაც. თუკი თითოეული ჩვენგანი თავის თავში ამ რეფლექსს, როგორც თავისი არსების უძვირფასეს ნაწილს ისე მოელოლიავება, თუკი მშობლები და ყველა რანგის მასწავლებლები მთავარ ამოცანად გაიხდიან თავიანთ საზრუნავ მასაში ამ რეფლექსის განმტკიცებასა და განვითარებას, თუკი ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო ფართო შესაძლებლობებს გახსნის ამ რეფლექსის პრაქტიკული რეალიზებისათვის, მაშინ ჩვენ გავხდებით იმად, რაც ჩვენ უნდა და შეგვიძლია კიდეც, რომ ვიყოთ, ჩვენი ისტორიული ცხოვრების მრავალი ეპიზოდისა და ჩვენი შემოქმედებითი ძალების ზოგიერთი აღმაფრენის მიხედვით.“

თუკი ი. პ. პავლოვის ამ უკანასკნელ მოსაზრებას განვაზოგადებთ და მხოლოდ რუსეთით არ შემოვიფარგლებით, მაშინ ადვილად დავინახავთ, რომ „მიზნის რეფლექსის“ ცნებას კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ცალკეული ქვეყნების დემოგრაფიული განვითარების ტენდენციათა ახსნაშიც. მაგრამ სამწუხაროდ, დემოგრაფიული პროცესების მართვასთან დაკავშირებით, „მიზნის რეფლექსის“ ცნება დაუმსახურებლადაა იგნორირებული. არადა, თუკი საზოგადოებას განვიხილავთ როგორც მიზანმიმართულ სისტემას, მაშინ ყოველი ინდივიდის „მიზნის რეფლექსის“ მხარდაჭერამ ან დათრგუნვამ, ასევე, საზოგადოების უმეტეს ნაწილში „მიზნის რეფლექსის“ რეალიზების თანხვედრამ ან უკუქმედებამ, — უდავო გავლენა უნდა მოახდინოს დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივ და თვისებრივ განვითარების ინტენსივობაზე.

იხ. 7 გვ.

ინფორმაცია

## ჭანტურია გიორგი გამსახურდიას მის მოადგილედ დანიშვნას უარყოფს



**საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია გიორგი გამსახურდიას მის მოადგილედ დანიშვნას კატეგორიულად უარყოფს.**

**— გიორგი გამსახურდია ჩემი მეგობარია და მასთან წმინდა იურიდიული კუთხით კონსულტაციები ნამდვილად გავიარე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის ჩემს მოადგილედ უკვე დავნიშნე ან ვაპირებ დანიშვნას. რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელში საკადრო ცვლილებებს, ნამდვილად ვგეგმავთ. აღნიშნულის შესახებ ჩვენ გადაწყვეტილებებს საზოგადოებას პირადად მე შევატყობინებ, რადგან დასამალი არავისთან არაფერი გვაქვს. ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ საკადრო ცვლილები როგორც ადმინისტრაციულ, ასევე საფინანსო და სხვა განყოფილებესაც შეეხება. ამასთან, ტელევიზიაში გეგმიურ შემცირებას არ ვგეგმავთ და საერთოდ თანამშრომლების მიმართ ასეთი მიდგომები ჩემთვის მიუღებელია. ჩვენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა თანამშრომელს იანვრამდე საკუთარი შესაძლებლობის წარმოჩენისთვის ვადას ვაძლევთ. თუმცა, ადამიანები, ვინც საკუთარ მოვალეობებს ვერ შეასრულებენ, ისინი სამსახურიდან განთავისუფლებიან, — განაცხადა გიორგი ჭანტურიამ.**

**გიორგი გამსახურდიას საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურიას მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ქართულ პრესაში გაჟღერდა.**

„ექსპრესნიუსი“

ფაზის-ქალაქის გასაჭირი

*ქ. ფოთის შესასვლელში — ეგრეთ წოდებულ მე-7 კმ-ზე, 1949 წელს მდინარე რიონზე ააგეს ხიდი და ჰიდროკვანძი, ამწე-მექანიზმების სათავსოები, რომლის ზედა ნაწილში დამონტაჟებულია ფარები. ამ ფარების რეგულირებით ხდება წყლის გადანაწილება. 60 წლის წინათ აგებული ხიდი და ჰიდროკვანძი, რა თქმა უნდა, საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ამ დღეებში ფოთში გამართული შეხვედრა ფოთის მერ ივანე საღინაძესა და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორ პროფესორ გივი გავარდაშვილს შორის.*

# ფოთის შესასვლელთან, რიონზე გადებულ ხიდს და ჰიდროკვანძს საჩქარო რეაბილიტაცია სჭირდება

დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა, მისმა მეცნიერ-თანამშრომელმა რობერტ დიაკონიძემ წარადგინა პროექტი, რომელიც ამ ჰიდროკვანძის რეაბილიტაციას შეეხებოდა. ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა და გრანტი მიიღო.

**რობერტ დიაკონიძე, პროექტის ავტორი:** ამ ჰიდროკვანძზე ოთხი წლის წინათ ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ახლა გასდის ვადა. აუცილებელია საჩქარო ზომების მიღება, რადგან ეს შენობა შეიძლება ხვალაც დაინგრეს. შენობა, რომელიც 60 წლის წინათ აშენდა, ავარიულ მდგომარეობაში, ჰაერშია გამოკიდებული. მხოლოდ ერთი მეთვალყურე ჰყავს. ვის ეკუთვნის ეს ჰიდროკვანძი არავინ იცის. ქალაქის მერია ვერ იღებს ბალანსზე. ამ შენობის დანგრევა გამოიწვევს ფოთის დატბორვას. აქ უნდა განხორციელდეს მუდმივი მონიტორინგი და უნდა წარიმართოს სამუშაოები სათადარიგო ხიდის ასაშენებლად. ხიდი ტრასეკას განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ყველაფერს შევისწავლით და წარვადგენთ დასკვნას. ძალიან რთული ვითარებაა, ამიტომაც ავტეხეთ აჟიოტაჟი.

**ბონდო მაღლაფერიძე, პროექტის მთავარი ინჟინერი:** „ჩვენ სახელმწიფო სტრუქტურის ყველა ინსტანციაში გავაგზავნეთ წერილები, რათა დროულად მიხედონ ამ ნაგებობას, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე პასუხები არ მიგვიღია. გაიძახიან სახსრები არ გაგვაჩნიაო, არა და ჩვენ გამოსაკვლევად ვითხოვთ სულ 20-25 ათას ლარს. რეკონსტრუქციას კი 20-25 მილიონი ლარი დასჭირდება. აუცილებლად უნდა ჩაერიოს საქართველოს მთავრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დიდი კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ!

**გივი გავარდაშვილი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი:** ფოთის ჰიდროკვანძს შველა უნდა. არსებული მდგომარეობა დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. გრანტის წყალობით გარკვეული თანხა გვაქვს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ამ ჰიდროკვანძზე წყალქვეშა კვლევები ვაწარმოოთ. შემდეგ რა სურათს მივიღებთ — ყველას საქმის კურსში ჩავაყენებთ. ჩვენ მოვითხოვთ მიენიჭოს ამ ობიექტს სტრატეგიული მნიშვნელობა და ჰიდროკვანძი აყვანილ იქნეს პირველ რანგში, რათა კატასტროფა ავიცილოთ.

ფოთის მერმა ივანე საღინაძემ ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომლებს და თქვა, რომ უახლოეს პერიოდში მდინარე რიონზე, ფოთის შესასვლელთან გათვალისწინებულია ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა.

**ლადო ქირია,**
**ფოთი-ზუგდიდი**



უფლის რჩეული

# დრო ინგრევა და... ისევ შენდება



მამაკაცს ცრემლი არ უხდება, გლოვა და ფიქრი — რამდენიც გენებოთ...

ეს რა საგლოვ-საფიქრალი გაგვიჩინა ესმა ყურაშვილის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ.

2008 წლის 7 ივნისს საკუთარი ნოველების წიგნის „ცოტა დრო“ კურთხევაზე (პრეზენტაციაზე) გულახდილად საუბრობდნენ ესმა და მისი მეგობრები. მოულოდნელად სატელეფონო ზარი გაისმა. ესმამ მეგობრებს ბოდიში მოუხადა და მანქანით გადაუდებელ საქმეზე 15 წუთით (თურმე — სამუდამოდ!) გაქანდა. სველ ასფალტზე მანქანა მოუცურდა და... მძიმე შეჯახებისგან თვალთ დაუბნელდა... ფოთელმა და ქუთაისელმა ექიმებმა ვერაფერი უშველეს უღვთოდ ტრავმირებულ 31 წლის გოგოს. 15 ივლისს ესმა ყურაშვილი გარდაიცვალა.




დარჩნენ უდედოდ 13 წლის მარიამი და 7 წლის ლუკა. შავი ფერი მოეძალა ყურაშვილების ოჯახს. სამწუხაროდ, ესმას მამაც რამდენიმე წლის წინათ მოულოდნელად, სრულიად ახალგაზრდა გულის შეტევით გარდაიცვალა...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჭკვიანი, გაბედული, სულით ძლიერი და ადამიანებთან ღვთიური ურთიერთობის ნიჭით დაჯილდოებული ესმა ყურაშვილი მშობლიურ ფოთში დაბრუნდა. ბედკრულ, მაგრამ თავისუფალ საქართველოში (მათ შორის ფოთშიც!) მაშინ დამოუკიდებელი ტელეკომპანიების, გაზეთების, „ყვითელი“ ჟურნალების დაარსების ბუმი იდგა. გამართული კალმოსანი და ცინცხალი იდეების პატრონი ესმა ჯერ გაზეთ „მედეა-ტრიბუნას“ აარსებს, ხოლო შემდეგ ჟურნალ „ორიგინალს“. ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად წერს მოთხრობებს და ლექსებს. მკითხველმა გულწრფელი სიყვარულით მიიღო მისი ლექსების პირველი კრებული „გზაჯვარედინი“ და ნოველების წიგნი — „ცოტა დრო“.

თითქოს, წინათგრძნობასავით არის ესმას ყოველი ლექსი, ყოველი ნოველა, წიგნების სათაურები.

„დრო მოდის. დრო მიდის და ისევ მოდის. დრო შენდება. დრო ინგრევა და ისევ შენდება. დედამიწა ერთი დიდი საათია... მილიარდობით მაჯის, კედლის თუ ჯიბის საათით გადატენილი. დრო ყველგანაა. ყველასია. შოვნა არ უნდა. ყველგან „ყრია“ და ამიტომაც ვფლანგავთ უზოგავად. არადა, ცოტაა. დრო მაშინ ტყუის, როცა ჩერდება. გაჩერებული საათიც კი დღე-ღამეში ერთხელ მაინც არის მართალი“...

ასე ლირიკულად, ასე ორიგინალურად, ასე ფილოსოფიურად აფასებს ახალგაზრდა მწერალი და ჟურნალისტი ამოუცნობი დროის ფენომენს.

ბედისწერა? — არა, უფრო სხვა სიტყვა შეეფერება ესმა ყურაშვილის ხანმოკლე სიცოცხლეს. ვერცხლის წყალივით მოუსვენარი, საოცრად დახვეწილი, ბროწეულის ყვავილივით მშვენიერი გოგონა თავს არ იზოგავდა, რომ ყველაფერი მოესწრო... ოჯახი, ქმარ-შვილი, დედმამიშვილები, სამი ტყუპი ძმა, მეგობრები, რედაქცია, სტამბა, კომპიუტერი... გაბმული იყო გზაში: ფოთი — ქუთაისი — თბილისი. ყველაფერს ასწრებდა. ავადმყოფ ბებიას და ბაბუას — საოცრად კოლორიტულ პიროვნებებს არსენა და ნანული მიქაძეებს ხომ თავს ევლებოდა. გამორჩეულ პატივს მიაგებდა ლამაზი შვილების აღმზრდელ სათნო დედას ნანა მიქაძეს... ბუნებრივია, დღეს ყველაზე ცოდვა სწორედ ნანაა, — ადრე დაქვრივებული, შვილმკვდარი დედა, მაგრამ... მისი აზროვნებიდან არ ამოდის დიდი ილიას სიტყვები — „აბა, სხვა ვინღა არ არის ცოდო ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში. ამიტომაც ოთარაანთ ქვრივივით უტეხქალობს ეს გმირი დედა და ახალგაზრდა ბებია.

კაცური მადლობის ღირსია ესმას მეუღლე ირაკლი დოლბაია უდედოდ დარჩენილ შვილებზე გამორჩეული ზრუნვისთვის.

ყურაშვილების ოჯახის, ჩვენი კოლეგა ესმა ყურაშვილის მოკლე, მაგრამ სისხლსავსე ცხოვრება და მოულოდნელი ტრაგედია ცალკე ნოველის თემაა. ამიტომაც პატიებას ვთხოვთ მის ლამაზ სულს ასე ცოტას რომ ვწერთ. უფალი მოწყალეა, ისიც გვაპატიებს. ესმა ხომ უფლის რჩეული იყო... ამიტომაც წააბრძანა ზეციურ საქართველოში...

**სპარტაკ ქობულია,**
**გია გაბრიჭიძე**

* * *

**აქვე გთავაზობთ ესმა ყურაშვილის ორ ლექსს.**

## გზაჯვარედინი

**მე არ შევყურებ გზაჯვარედინს,**
**რომელსაც აწვიმს,**
**იქ არ მეგულვი,**
**მზე შეიგრძნობს შენს სრულ არსებას.**
**და ჩემში ცოცხლობს შენი სახით**
**მზე — ბუმბერაზი,**
**მზე — შენი მზერა,**
**მზე — მდუღარე... ზეცის ანთება,**
**მარტის ნაავდრალ ბილიკებზე**
**მგორავი მზის გულს**
**შემოუნახავს ნაცრისფერი ფოტოსურათი**
**ლურჯი წერტილის,**
**შენი პროფილი, ფითრისაგან**
**გამოძერწილი,**
**იანვრის ქარი, მოკივარი,**
**თმაგაწეწილი.**
**მარტის ნაავდრალ ბილიკებზე**
**მგორავ მზისა გულს**
**შემოუნახავს ჯოჯოხეთი შენი არსების.**
**ქვათა ღაღადი,**
**დაფარული მწვანე ხავსებით**
**ზოგჯერ გიცქერი და ვერ გხედავ**
**და ვიფიქრები,**
**როგორც გვიმრები ზამთრისპირზე**
**ფოთლებდაყრილი.**
**და მორთმეული ცეცხლოვანი**
**ჯავრის ტიტები**
**შენი ნათალი ხელით, დაღლილით**
**და შენი სახით ცოცხლობს ჩემში**
**მზე — ბუმბერაზი**
**და არ შევყურებ გზაჯვარედინს,**
**რომელსაც აწვიმს.**

## ჩაკეტილ კარს მიღმა

**მე ვაკაკუნებ, მგზავრი, გვიანი,**
**ღამის სხეულზე მოხეტიალე,**
**დავლაშქრე ციხე, გალავნიანი,**
**გამიღე, ვიცი, დავიგვიანე.**
**გულის ჯიბეში ეს დღიურები**
**მაწვალებს, მაკრთობს, მიხსნის იარებს,**
**დაფარე ჩემი ნაფეხურები,**
**მომენატრე და შემოგიარე!..**
**ვიდრე გავძელი, შორით გიარე,**
**ვიდრე შევძელი, გარიდე მზერა,**
**თუმცა რუხ სივრცეს შევეზიარე,**
**ვერ დავამსხვრიე, ვერ დავთმე ჯრაც.**
**ვის ეუმაგლდება მთრთოლვარე წამებს**
**(სული ამოსძვრათ ცვრიან ლიანებს)**
**ჩვენ ხომ დუმილის ენა ვიწამეთ,**
**დღეს უნებურად შეგეხმიანე!..**
**ჰო, წავალ ახლა, გზას გავუყვები,**
**რომ კვლავ რუხ სივრცეს შევეზიარო,**
**ნუღარ გამკიცხავ, თუ ვერ გავძელი,**
**ათასში ერთხელ, შეგეხმიანე!..**

ინფორმაცია

# კოკოითი დასვენებას არ აპირებს

**ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი გავრცელებულ ინფორმაციას მის ხანგრძლივვადიან შვებულებაში წასვლასთან დაკავშირებით კატეგორიულად უარყოფს. ეს განცხადება კოკოითმა მოძრაობა „სამშობლოს დამცველთა“ წევრებთან შეხვედრისას გააკეთა.**



— ჩვენი საზოგადოება შეშფოთებულია გავრცელებული ინფორმაციით იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი სამთვიან შვებულებაში გადის და ამის შემდეგ სხვა თანამდებობაზე აპირებს გადასვლას. ეს ინფორმაცია სრულიად უსაფუძვლოა, — განაცხადა ედუარდ კოკოითიმ და დასძინა, რომ ეს კარგად მოფიქრებული ტაქტიკაა იმისათვის, რათა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში გარკვეული განწყობილებები ჩანერგონ.

ჯი-ემ-ენი

№ 175. პარასკევი, 4 სექტემბერი, 2009 წელი.

**სხვა გაზეთებიდან**

*ახლა თამარ გვერდწითელი დიდი საგასტროლო ტურნესთვისაც ემზადება და მოსკოვში ახალი სეზონის მონოსპექტაკლებისთვისაც „და ღმერთმა შექმნა ქალი“. შეგახსენებთ, რომ ის დაიბადა თბილისში 1962 წლის 18 იანვარს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე მღეროდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გოგონათა ანსამბლ „მზიურში“. შემდეგ დაამთავრა თბილისის კონსერვატორია ფორტეპიანოსა და კომპოზიციის განხრით, აგრეთვე სპეციალური კოლეჯი ვოკალის განხრით. 1981 წელს მიიწვიეს პარიზში, სადაც გაიცნო მიშელ ლეგრანი, გააფორმა მასთან კონტრაქტი და გამართეს ერთობლივი კონცერტები. ჰყავს შვილი პირველი ქმრიდან, ცნობილ რეჟისორ გიორგი კახაბრიშვილისგან.*

*გთავაზობთ გაზეთში „ტრუდ-7“ 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.*

# თამარ გვერდწითელი: სიმღერა ლაპარაკზე ადრე ვისწავლე



**— თეატრის სცენაზე ბავშვობიდან ოცნებობდით?**

— ცხოვრების რომელიღაც პერიოდში ნამდვილად მინდოდა დრამატულ მსახიობად გახდომა, მაგრამ პედაგოგებმა და დედაჩემმა დაიჟინეს, რომ მიმეღო უმაღლესი მუსიკალური განათლება. საქმე ისაა, რომ დედა პირველი ადამიანია, რომელმაც შეამჩნია ჩემში მუსიკალური უნარი. ის ამბობს, რომ სიმღერა უფრო ადრე დავიწყე, ვიდრე ლაპარაკი. ერთ წელზე ცოტა მეტისა ვყოფილვარ, როდესაც დედას მოუსმენია, თუ როგორ სუფთად ვმღეროდი რომელიღაც მელოდიას. ალბათ ეს იყო რაღაცის ნიშანი. ზოგჯერ ვუყურებდი ბავშვებს, ეზოში მინდოდა უბრალოდ მათთან თამაში, მაგრამ შემდეგ თანატოლების კამპანიაში რომ ვხვდებოდი, ვრწმუნდებოდი, რომ მე სულ სხვა ინტერესები მქონდა და ისევ მუსიკასთან მიბრუნება მინდოდა. საერთოდ გამიმართლა. ღმერთმა შემაძლებინა ჩემი სამსახიობო პოტენციალის რეალიზება — აი, უკვე ხუთი სეზონია, რაც მე ვთამაშობ დულცინეს სპექტაკლში „ადამიანი ლამანჩიდან“.

**— იქმნება შთაბეჭდილება, რომ არასოდეს ზიხართ ერთ ადგილზე, ეს-ეს არის დამთავრდა საგასტროლო ზაფხული, თქვენ კი უკვე ემზადებით ახალი თეატრალური სეზონისთვის. ისევ უნდა ჩაუშვათ თქვენი მონოსპექტაკლი „და ღმერთმა შექმნა ქალი“. პატიოსნად აღიარებთ, რომ თქვენ შრომისმოყვარე ხართ?**

— ვფიქრობ, რომ კი. მე არ მაქვს დასვენების დღეები, დღესასწაულები, მე შვებულების დროსაც კი ვაგრძელებ რეპეტიციებს, ვიგონებ რაღაც ახალ პროგრამებს, გართობის მოყვარული როდი ვარ. დასვენება ჩემთვის, უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდე, ბუნება, ახლობლებთან ურთიერთობა და სრულფასოვანი ძილია.

**— განა მართალია, რომ თქვენ ცრუმორწმუნე ხართ?**

— ვფიქრობ, რომ ასეა. ცრუმორწმუნე ვარ, როგორც ყოველი ქალი, თუმცა ყველა ჩემი ნიშანი და ჩვევა ძირითადად თეატრთანაა დაკავშირებული: სცენაზე გავდივარ მარცხენა კულისებიდან და ვამჯობინებ შავ როიალზე დაკვრას. არის აგრეთვე განსაზღვრული სიტყვები, რასაც ჩემთვის ვდუდუნებ გამოსვლის წინ. მიყვარს, როდესაც დედაჩემს ჩემი ხელი უჭირავს სცენაზე გასვლის წინ... ეს მუდამ მმატებს სიმტკიცეს.

**— ვიცი, რომ თქვენ დედასთან სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ. ის თქვენთვის კვლავინდებურად ყველაზე ავტორიტეტული ადამიანია?**

— ეს ასეა. დედაჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანია. მან ბევრი გააკეთა ჩემთვის. ბევრი რამეც კი გაწირა. მე ამისთვის დიდი მადლობელი ვარ. დედა ყველაფრის კურსშია, რაც ჩემს ცხოვრებაში, მუშაობაში, სახლში ხდება. მასთან განვიხილავ ყველაფერს და ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვიღებ მხოლოდ მასთან რჩევის შემდეგ. ის ძალზე ბრძენია და მუდამ მკარნახობს, თუ უკეთესად როგორ მოვიქცე. ამბობენ, რომ ჩვენ ძალზე ვგავართ ერთმანეთს, მარტო გარეგნობით კი არა, ტემპერამენტითაც.

**— რა დამოკიდებულება გაქვთ შვილთან? შეგიძლიათ თქვათ, რომ მეგობრები ხართ?**

— დიახ, ჩვენ მეგობრები ვართ. სანდრო ყველაფერს მიამბობს, რჩევას მთხოვს, მეც აგრეთვე რაღაცებს მირჩევს. ჩვენ თანაბარუფლებიანი ვართ ყველაფერში. მკაცრ დედას ჩემს თავს ვერ ვუწოდებ. და არც არასოდეს მინდოდა, ჩვენს შორის დისტანცია ყოფილიყო, ვამაყობ იმით, რომ ჩვენს ოჯახში ასპროცენტიანი ნდობა გვაქვს. მისმა მეგობრებმა ლონდონში, როცა ერთად გვნახეს, არც კი დაიჯერეს, რომ მისი დედა ვიყავი. იფიქრეს,რომ მისი დობილი ვარ. ეს ხომ დიდებულია.

**— სანდრო რეჟისორობას სწავლობდა ლონდონში. რას აკეთებს ახლა?**

— ახლა ინგლისშია, ლონდონში ცხოვრობს. აგრძელებს სწავლას, იცავს master's degree. სანდრო საქართველოში დაიბადა, სწავლობდა ამერიკაში, რუსეთში, ინგლისში, მსოფლიოს კაცია, ნებისმიერ ქვეყანაში თავს კომფორტულად გრძნობს. რასაკვირველია, საქართველო რჩება მის სამშობლოდ, ყველა არდადეგებს იქ ატარებს.

**— ხომ არ გქონიათ ოჯახური კინოს გაკეთების იდეა? სანდრო რეჟისორი იქნებოდა, თქვენ კი ითამაშებდით როგორც მსახიობი?**

— ამაზე ჩვენ ჯერ არ გვიფიქრია, მაგრამ კარგი იდეაა. ჩვენ მას აუცილებლად განვიხილავთ. სანდრო 24 წლისაა, ჯერ ადრეა მასზე, როგორც შემდგარ რეჟისორზე ლაპარაკი, მიმაჩნია, რომ ამისთვის რაღაც დრომ უნდა გაიაროს. უმაღლესის დამთავრებისთანავე რეჟისორად გახდომა შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა ცხოვრებისეული გამოცდილება, სიბრძნე, განსაკუთრებული შეხედულება სამყაროზე. ის უკვე მოზრდილია, და მას ჩამოუყალიბდა საკუთარი ცხოვრებისეული პოზიცია, ეს მე ძალზე მახარებს. ვფიქრობ, რომ მან სწორი გზა აირჩია.

მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა**

**SOS:**

# დემოგრაფიული დაცემა გრძელდება!



**(მეხუთე გვერდიდან)**

„მიზნის რეფლექსის“ განვითარებაზე ან დათრგუნვაზე დამყარებული კონცეფციის საფუძველზე, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარე, ბევრი დემოგრაფიული რყევის ახსნაა შესაძლებელი. ამასთან, კრიზისში, ჩვენ ვგულისხმობთ მკვეთრ გარდატეხას, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გამწვავების პერიოდს, რომელთა შორისაც შეიძლება გამოიყოს როგორც პოზიტიური (1985 და 2003 წლიძ, ასევე ნეგატიური (1992-1993 და 2007-2008 წლებიძ კრიზისებიც.

„მიზნის რეფლექსი“ საჭიროა განვიხილოთ, როგორც კრიზისულ სიტუაციაში დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედი ბიოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების ერთიანი კომპლექსის რეალიზაციის ერთ-ერთ უმძლავრესი მექანიზმი. ამ ფაქტორების განვითარების ნეგატიური მიმართულებები ქმნიან წანამძღვრებს ისეთი კრიტიკული მომენტების გაჩენისათვის, რომლებიც ხელს უწყობს „მიზნის რეფლექსის“ მასობრივ დათრგუნვასა და დემოგრაფიული კრიზისების მორიგი ეტაპების გაჩენას. ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ არ ყოფილიყო დაშვებული საერთო ეროვნული რყევის ისეთი კრიტიკული მომენტები, როგორიც იყო 1992-1993 და 2007-2008 წლებში, — ამჟამად დემოგრაფიული სიტუაცია შესაძლოა ასეთი კრიტიკული არ ყოფილიყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს სამი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა.

**ჯერ ერთი,** დემოგრაფიული პროცესები უნდა შევაფასოთ როგორც გატარებული რეფორმების ეფექტურობისა და გასატარებელი გარდაქმნებისადმი მოსახლეობის რწმენის მგრძნობიარე ბარომეტრი.

**მეორე,** კრიზისულ პირობებში „მიზნის რეფლექსის“ რეალიზაციის მექანიზმს, შეუძლია ამოქმედდეს საკმაოდ სწრაფად და ოპერატიულად. ამასთან, „მიზნის რეფლექსისათვის“ დამახასიათებელია რეფრაქტიულობის გამოვლინება, რაც იწვევს იმას, რომ „მიზნის რეფლექსის“ ყოველი მომდევნო დათრგუნვა გაცილებით მეტ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს, ვიდრე წინა. ამასთან, „მიზნის რეფლექსის“ დათრგუნვას არც თუ უმნიშვნელოდ უწყობს ხელს არაპოპულარული და არაეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ინტერესებს და საშუალებას იძლევა, ვთქვათ, რომ კრიზისის პირობებში დემოგრაფიულ სიტუაციაზე მძლავრ გავლენას ახდენს „მმართველობითი“ ფაქტორი.

მესამეც, საჭიროა საერთო ეროვნული იდეის დაჩქარებული ფორმირება, რომელიც „მიზნის რეფლექსის“ უსწრაფეს აღდგენას შეუწყობდა ხელს.

საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც დღემდე ჯერ კიდევ არ არსებობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების ერთიანი ეროვნული იდეა, ბევრ ქვეყანაში მსგავსი წინადადებები უკვე არაერთგზის გამოუთქვამთ სპეციალისტებს (მაგალითად, ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, რუსეთისათვის ასეთ იდეად მიჩნეულია ძლიერი და ჯანმრთელი რუსეთის სახელმწიფოს აღდგენა. ამასთან, იმედს გამოთქვამენ, რომ არ შეიძლება ასეთი იდეის კიდევ ერთხელ მხოლოდ ხმამაღალ დეკლარაციად დატოვება. საჭიროა, რომ ის საერთო იყოს ყველასათვის — ქვეყნის რიგითი მაცხოვრებლის, ყველა დონის ხელმძღვანელისა და სახელმწიფო მოღვაწისთვისაც, რათა ამ იდეის რეალიზაციას ექვემდებარებოდეს ნებისმიერ დონეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება. და რომ ქვეყნის თითოეულმა მცხოვრებმა თავისთავზე იგრძნოს, არა მარტო მიღებული ღონისძიებების სარგებლიანობა, არამედ ხელი მიუწვდებოდეს, საერთო ეროვნული იდეის რეალიზებაში ჩართული ყველა მხარის მონაწილეობის ეფექტურობის შესახებ ობიექტურ ინფორმაციაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იქონიონ „მიზნის რეფლექსის“ შედეგიანი აღდგენის იმედი როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ დონეზეც, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, როგორც დემოგრაფიული პროცესების სტაბილურ ნორმალიზაციას, ასევე ქვეყანაში ეკონომიკური, თავდაცვითი და გეოპოლიტიკური უსაფრთხოების გაზრდას.

მიგვაჩნია, რომ საყოველთაო კრიზისის პირობებში „მიზნის რეფლექსის“ წარმოქმნა და რეალიზება დახმარებას გაუწევს როგორც მთელი მსოფლიოს, ისე მისი ცალკეული რეგიონებისა თუ ქვეყნების მოსახლეობათა რიცხოვნობის რეგულირების საქმესაც. მაგრამ, ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ვითვალისწინებდეთ ასეთი თვითრეგულაციის აუცილებლობის მიზნებსა და კონცეფციებსაც.

კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში კი საჭიროა შევნიშნოთ, რომ ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც ეკონომიკურმა კრიზისმა მხოლოდ ახლა იჩინა თავი, ეკონომიკური დაქვეითების გავლენას, საქართველო, უკვე თითქმის, ორი ათეული წელია რაც განიცდის. ასე, რომ ის, ფაქტობრივად შეგუებულია იმ ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებს, რომელიც თან სდევს ხოლმე ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისებს. იქნება ეს, წარმოების მოცულობის მკვეთრი დაცემა, უმუშევრობის არნახული ზრდა, შემოსავლებისა და პენსიების უკიდურესი სიმცირე, თუ აქედან გამომდინარე მოსახლეობის ცხოვრების დონის საგრძნობი გაუარესება, ყველა ამ მოვლენას საქართველოს მოსახლეობა, სამწუხაროდ, უკვე მიჩვეულია და, შეიძლება ითქვას, მათდამი გარკვეული იმუნიტეტიც კი გამოუმუშავდა. ჩამოთვლილი ნეგატიური ეკონომიკური მოვლენები, რომელთაც იმავდროულად თან ერთვოდა უმწვავესი პოლიტიკური კატაკლიზმები და ზოგჯერ საომარი მოქმედებებიც, ბუნებრივია აისახა ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზეც.

**მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების არსებული კრიზისი, სწორედ ამ ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური და საომარ-პოლიტიკური პროცესების შედეგია, რომელსაც, ამ ბოლო ხანს, გლობალური ეკონომიკური კრიზისიც დაემატა და, თუ დემოგრაფიული პოლიტიკის გაჯანსაღების სათანადო ზომები დროზე არ მივიღეთ და, უპირველეს ყოვლისა, „მიზნის რეფლექსის“ სახით არ ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი იდეა, მაშინ ეს, კიდევ უფრო გაართულებს ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ მომავალს.**

**ანზორ სახვაძე,**
**დემოგრაფი, პროფესორი.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველომ რუსი ჟურნალისტები არ შეუშვა

**საქართველომ თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა ორი რუსი ჟურნალისტი – ტელეწამყვანი მაქსიმ შევჩენკო და გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ვლადიმირ მამონტოვი, რომლებიც ოთხშაბათს ჩაფრინდნენ თბილისში იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც სწავლობს საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შედეგების რეგულირებას.**

ჟურნალისტები ჩამოფრინდნენ რეისით ერევნიდან, ვინაიდან პირდაპირი ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის არ არის 2006 წლიდან, და ისინი უკანვე გაგზავნეს. საქართველო-რუსეთის კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგების მოწესრიგების საზოგადოებრივი კომისიის თანათავმჯდომარის მალხაზ გულაშვილის სიტყვებით, რუსები საქართველოში არ შეუშვეს იმიტომ, რომ მათ პასპორტში იყო ბეჭდები საზღვრის გადაკვეთის



შესახებ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან არა საქართველოს ტერიტორიის გავლით, რაც ქართული კანონმდებლობის დარღვევაა. „ეს სრული ბლეფია. მაქსიმ შევჩენკოს ახალი პასპორტი აქვს, მამონტოვი კი არასოდეს ყოფილა ამ ტერიტორიებზე და საერთოდაც იგი საქართველოში არასოდეს ყოფილა“, – განაცხადა გულაშვილმა.

მომხდარს მან უწოდა „მიზანდასახული პროვოკაცია, რომელიც გაანგარიშებულია საზოგადოებრივი კომისიის მუშაობის ჩაშლაზე, რომელიც ზოგიერთს ხელს არ აძლევს, რომლებსაც არ სურთ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის იყოს ნორმალური და მეგობრული ურთიერთობანი“.

ქართველმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში შემოუშვეს დელეგაციის მხოლოდ ერთი მონაწილე – დსთ-ს რედაქციისა და „რია ნოვოსტი ბალტიის“ ხელმძღვანელი ალიონა კასაევა. „საქართველოს სასაზღვრო სამსახურის მოქმედება ეჭვქვეშ აყენებს საზოგადოებრივი დიალოგის გაგრძელების შესაძლებლობას ზემოაღნიშნული კომისიის ჩარჩოში. არ შემიძლია მოვძებნო სახელმწიფო საზღვრის სამსახურის წარმომადგენელთა მოქმედების რაციონალური ახსნა“, – აღნიშნავს კასაევა.

საქართველო-რუსეთის კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგების მოწესრიგების საზოგადოებრივი კომისიის ერთობლივი კონფერენციის გახსნა დანიშნული იყო თბილისში 3 სექტემბრისთვის. ამჟამად ეს ღონისძიება პრაქტიკულად ჩაშლილია.

**ნიკიტა ფილატოვი**

Утро.ru

# წელიწადი უომრად

**სამხრეთ ოსეთის რუსეთის მიერ დამოუკიდებლად აღიარების წლისთავის აღნიშვნამ 26 აგვისტოს გვიჩვენა, რომ ომის ტრავმები კავკასიის ამ სახელმწიფოში თანდათანობით წარსულს ბარდება, საზოგადოებრივი განწყობილება კი, მიუხედავად ჯერ კიდევ გადაუჭრელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა, პოზიტიური ხდება.**

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარესთან ვლადიმერ პუტინთან, რომელიც გაიმართა აღიარების დღეს, წარმატებით დამთავრდა. ცხინვალი დარწმუნებულია, რომ მიიტანა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამდე ინფორმაცია რესპუბლიკაში საქმის ვითარებისა და სამხრეთ ოსეთის აღდგენის შენელების ჭეშმარიტი მიზეზების შესახებ.



ახლა ცხინვალში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ აუხსნან საკუთარ ხალხს ხელისუფლების პოზიცია: რესპუბლიკის აღდგენის შეფერხება გამოწვეულია რუსეთის ფედერაციიდან გადმოურიცხავი სახსრებით, და არა ქურდობით ცხინვალში.

თავის დროზე ცხინვალის ხელისუფლებამ გადაწყვიტა არ გაეცა პასუხი გაუთავებელ ბრალდებებზე დატაცებათა შესახებ, რის შესახებაც ხშირად გაიძახოდა არამრავალრიცხოვანი, მაგრამ ინფორმაციულად აქტიური და ორგანიზებული ოპოზიცია.

პრეზიდენტ კოკოითის მოსკოვში მოულოდნელი გაფრენა ისევე მოულოდნელი იყო როგორც რიგითი ოსებისთვის, ისევე რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებისთვისაც. რესპუბლიკის ხელმძღვანელს თავადაც სურდა ყოფილიყო დღესასწაულის დღეს თავის ხალხთან ერთად, მაგრამ განვლილმა წელიწადმა, მისი სიტყვებით, „აჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ ეს თარიღი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამხრეთი ოსებისთვის, არამედ მთელი რუსეთისთვისაც“.

ცხინვალი უკვე აღარ ცხოვრობს „საგანგაშო სიმშვიდეში“, რაც დამახასიათებელია საბრძოლო მოქმედებათა მუდმივი მოლოდინისთვის. „მრავალი წლის განმავლობაში ხალხმა პირველად ამოისუნთქა თავისუფლად, როდესაც იგრძნო, რომ იმყოფება რუსეთის დაცვის ქვეშ, – ამბობს ერთ-ერთი ცხინვალელი გოგონა, რომელიც გაიზარდა უკვე დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთში. – ჩვენ უკვე არ ველოდებით, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება აფეთქდეს ნაღმსატყორცნები ან რაიმე ამის მსგავსი. მაგრამ შიში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბოლომდე. შესანიშნავმა სალუტებმაც კი, რომლის ნაპერწკლებიც აღიარების დღეს ცხინვალის თავზე ტრიალებდნენ, გამოიწვია ზოგიერთი მონაწილის შეშფოთება. „ეს სროლები ძალიან გვაგონებდნენ „გრადებს“. თუ სალუტს არ ხედავ, ყოველთვის რაღაც გაშინებს“.

დიდი წარწერა „გმადლობთ, რუსეთო!“ ახლა გაკეთებულია ქვებით მთის ფერდობზე სამხრეთ პორტალის გამოსასვლელთან, რომელიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას რუსეთთან აერთებს როკის გვირაბით. მადლობა და სიყვარული – აი მთავარი გრძნობა, რასაც აქ გამოხატავენ რუსეთის ფედერაციასთან დამოკიდებულებაში. თუმცა უკანასკნელ საკადრო გადაწყვეტილებებს მივყავართ იმასთან, რომ საზოგადოებაში ჩნდება გაურკვევლობა. უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ პასუხსაგებ ხელმძღვანელ პოსტებზე ინიშნებიან პირები, რომლებსაც მხოლოდ შორიდან იცნობენ. ადგილობრივი კადრები, რომლებმაც გადაიტანეს თავიანთ მხრებზე თითქმის 20-წლიანი დაპირისპირების მთელი სიმძიმე, გადაჰყავთ უკანა პლანზე.

„გამოგვიგზავნეს რუსი პრემიერი, – გვითხრეს მთავრობის სახლში. – არ ვაპირებთ მის შესახებ რაიმე ცუდის თქმას, – ჯერჯერობით ის სავსებით ადეკვატურად გამოიყურება, მომავალში კი დრო გვიჩვენებს, – მაგრამ საქმე მასთან დაკავშირებით როდია, არამედ იმასთან, რომ გვყავს ბევრი ნიჭიერი ოსი, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ დაეკავებინათ ეს თანამდებობა. თუ მოსკოვი ცდილობს გვიჩვენოს, რომ თქვენ ოსებს შეგიძლიათ მხოლოდ შეასრულოთ ჩვენი მითითება, ოსებს ეს არ მოეწონებათ, ჩამოსული კაცი თუნდაც ძალიან კარგი სპეციალისტი, ბევრ დროს უნდა კარგავდეს, რომ შევიდეს საქმის კურსში, გაითავისოს და იგრძნოს ჩვენი სიტუაცია. რამდენი სპეციც უნდა ჩამოვიდეს რუსეთიდან, ადგილობრივი მცხოვრებლების გარეშე მათ არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლიათ“.

**იანა ამელინა**

РОСБАЛТ

# სარქისიანი გამწვავებაზე წავიდა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ერევანს მიემგზავრება. რამდენიმე პრობლემასთან ერთად, რომელიც უნდა განიხილონ სომეხ კოლეგა ედვარდ ნალბანდიანთან ერთად, როგორც ეტყობა, იქნება კიდევ ერთი.**

სამშაბათს სომხეთის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს სერჟ სარქისიანმა განაცხადა საქართველოში სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობისა და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის იურიდიული რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ.

სერჟ სარქისიანმა, არსებითად, გაიმეორა იმ სომეხთა მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. აქამდე ოფიციალურ თბილისს არ განუხილავს ერევანი მოკავშირის სახით ამ რეგიონში პერიოდულად მიმდინარე სეპარატისტული განწყობილების ჩახშობის საქმეში. როდესაც პოლიტიკური ტემპერატურა ჯავახეთში კრიტიკულს უახლოვდებოდა, საქართველოს ხელისუფლება წარმატებით იყენებდა ერევნელი ემისარების დახმარებას.

სარქისიანის განცხადება უსიამოვნო მოულოდნელობა იყო თბილისისთვის, რომელსაც მიაჩნია, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს სამცხე-ჯავახეთში ახალი გამწვავების პროვოცირება. თავის სიტყვაში პრეზიდენტმა მოუწოდა სომხებს, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრაცია, მაგრამ ასიმილაციის გარეშე. კონკრეტულად საქართველოსთან დაკავშირებით სარქისიანმა შენიშნა: „მიმაჩნია, რომ სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭება, სომხური სამოციქულო ეკლესიის სტატუსის რეგისტრაცია, ნაბიჯები სომხური ძეგლების დასაცავად – ხელს შეუწყობენ მეგობრობის განმტკიცებას, ურთიერთნდობის ატმოსფეროს გაღრმავებას“.

საქართველოს მთავრობის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სარქისიანის განცხადება მოჰყვა ცნობას თურქეთ-სომხეთის საზღვრის მალე გახსნის შესახებ.

სომხური სათემოს ერთ-ერთი ლიდერი არნოლდ სტეპანიანი, რომელიც ხელმძღვანელობს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „მრავალეროვნული საქართველო“, აღიარებს, რომ სერჟ სარქისიანი სომხეთის ხელისუფლების პირველი წარმომადგენელია, რომელმაც დაიწყო საუბარი სომხური ენის სტატუსის შესახებ.

გრიგოლ ვაშაძის ვიზიტის დროს, ალბათ, საუბარი იქნება აგრეთვე საზღვრისპირა სომხურ სოფელ ბავრასთან დაკავშირებულ საკონფლიქტო სიტუაციასთანაც. ადგილობრივი გლეხები ამტკიცებენ, რომ ქართველმა მესაზღვრეებმა თვითნებურად გადაწიეს სამკილომეტრიანი საზღვრის მონაკვეთი სიღრმეში რამდენიმე ასეული მეტრით. ამის შედეგად ბავრის მცხოვრებლებმა დაკარგეს სავარგულები, რომლებიც ეკუთვნოდათ მათ სომხეთის მიწის კადასტრის საფუძველზე. თავის მხრივ, ქართულ მხარესაც შეიძლება აღმოაჩნდეს საკითხები ერევნისადმი. კერძოდ, თბილისში დიდი ოპტიმიზმი არ გამოუწვევია სომხეთის მაღაზიების თაროებზე აფხაზური პროდუქტების გამოჩენას.

„არ ვფიქრობ, რომ სომხეთის პრეზიდენტის განცხადება როგორმე უკავშირდებოდეს სომხეთ-თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას ან დაკავშირებული იყოს რუსეთის ინტერესებთან. სომხეთი და საქართველო კეთილი მეზობლები იყვნენ და ასეთებად დარჩებიან მომავალშიც“, – ასეთ იდეალურ ნოტაზე აპირებდა საუბრის დამთავრებას სახელმწიფო მინისტრი ინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი, მაგრამ ჩვენი გაზეთის შეკითხვაზე სამცხე-ჯავახეთში სომხური ენის სტატუსის შესახებ, მან განაცხადა: „ჩვენ გვახარებს, რომ სომხური ენა არის ერთადერთი სახელმწიფო ენა სომხეთში“, – რითაც გვაგრძნობინა, რომ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

## დედამიწის ზურგზე



**მოლდოვის მთავრობამ უარი განაცხადა, დაქვემდებარებულიყო პარლამენტს**

კომუნისტების მთავრობამ განაცხადა, რომ ანგარიშს არ ჩააბარებს თავის მოწინააღმდეგებს პარლამენტში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესახებ. უფრო ადრე მინისტრთა კაბინეტმა განაცხადა გადადგომის შესახებ და ისაუბრა ეკონომიკურ წარმატებებზე, რომელიც მიაღწიეს კომუნისტების ხელმძღვანელობით.

* * *

**ინდოეთში იპოვეს ჩამოვარდნილი შვეულმფრენი: ცოცხალი არავინ გადარჩენილა**

რეგიონული მთავრობის მთავარი მინისტრის შვეულმფრენი დაიკარგა ანდხრა-პრადეშის შტატში წინა დღით. როგორც ეტყობა, ის ცდილობდა მოეხდინა ავარიული დაჯდომა ცუდი ამინდის გამო და დაიმსხვრა. დაიღუპა 5 კაცი.



* * *

**დნესტრისპირეთი მალე მოიპოვებს დამოუკიდებლობას, განაცხადა უღიარებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა**

იგორ სმირნოვის სიტყვებით, დნესტრისპირეთი არასოდეს გაერთიანდება მოლდოვასთან. ამის საშუალებას არ მოგვცემს „გამართული რეფერენდუმი, რომლის დროსაც დნესტრისპირეთის მცხოვრებლებმა გამოთქვეს რუსეთთან ინტეგრაციისა და დამოუკიდებლობის სურვილი“, – განმარტა მან.



* * *

**ანდრომედას ნისლეული „კანიბალი გალაქტიკაა“, დარწმუნებული არიან მეცნიერები**

ნისლეულის, რაც ცნობილია კოდური სახელწოდებით „M 31“, დეტლურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვარსკვლავურ სისტემას გარს აკრავს ექვსამდე გალაქტიკების ნარჩენები, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩაყლაპა კოსმოსურმა „მტაცებელმა“. ამჟამად ამის მაგვარი რაღაც შეინიშნება მის პატარა თანამგზავრზე – ჯუჯა ელიპტურ გალაქტიკა „M-32“-ზე.



# ადამიანს ზედმეტი ორგანოები არ აქვს

**რა შეიძლება დავკარგოთ, თუ აღარ გვექნება აპენდიქსი, გლანდები და სხვა, თითქოსდა უსარგებლო „დეტალები**



## ელენთა გულს უმკურნალებს

**სკოლებში დღემდე მასწავლებლები ბიოლოგიის გაკვეთილებზე ფერად პლაკატებზე აჩვენებენ ადამიანის ორგანოებს, რომლებსაც დამცირებულად რუდიმენტებს უწოდებენ. ექიმები კი, როცა რაღაცა ხდება, მათ კვეთენ. მაგალითად, აპენდიქსს, გლანდებს, ელენთასაც კი. ხალხსაც სულ არ აინტერესებს — არ არის საჭიროო, ნუ იქნება. მართლაც, რუდიმენტების უქონლობით ხომ არავინ მომკვდარა.**

ტრადიციული შეხედულება ასეთია: „ზედმეტი“ ორგანოები საჭირო იყო ევოლუციის გარიჟრაჟზე, ახლა კი უსარგებლო გახდნენ — მთლიანად დაკარგეს თავისი დანიშნულება. მართალია, ისინი ემბრიონული განვითარების პროცესში ისახებოდნენ, მაგრამ სრულად არ ვითარდებიან. შემდეგ კი ზედმეტები ხდებიან ორგანიზმისთვის. სხვათა შორის, ისეთი დროც იყო, როცა მუცლის ღრუს ნებისმიერი ოპერაციის დროს სარგებლობდნენ მომენტით და კვეთდნენ მას, პროპაგანდას უწევდნენ გლანდების ამოჭრასაც, როგორც გაცივების დაავადებათა პროფილაქტიკას.

მაგრამ, უკანასკნელი გამოკვლევები ადასტურებენ: რუდიმენტების როლს არ აფასებენ. სინამდვილეში ისინი შეიძლება მეტად საჭირო იყვნენ. განსაკუთრებით თუ ადამიანები ექსტრემალურ სიტუაციაში ყოფნის ახალ, შეუჩვეველ პირობებში აღმოჩნდებიან ან სერიოზულად დაავადდებიან.

— მაგალითად, ელენთა, არსებითად, გულის დამატებაა, — ამბობს ნიუ-იორკის მედიცინის სკოლის ფუნქციური ანატომიისა და მორფოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი ჯეფრი ლაიტმანი. — გვეხმარება დაზიანებული ქსოვილის — თავად მისი და სისხლძარღვთა აღდგენაში. იგი ებრძვის ინფექციებსაც, ქმნის ფილტრებს არაჯანსაღი სისხლის უჯრედებისთვის.

ამას გარდა, ლაიტმანის ექსპერიმენტებმა აჩვენეს: ელენთა — ეს მთელი ქარხანაცაა მონოციტების, სისხლის თეთრი სხეულაკების წარმოებისთვის, რაც აუცილებელია იმუნური დაცვისთვის. ადრე კი მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ მონოციტები წარმოიქმნებიან მხოლოდ ძვლის ტვინში.

## აპენდიქსი დაგვიცავს პარაზიტებისგან

**არც ისე უსარგებლო აღმოჩნდა ყველაზე სახელგანთქმული რუდიმენტიც — აპენდიქსი, ეს უცნაური ჭიისმაგვარი წამონაზარდი, მაიმუნებისგან რომ დაგვრჩა, რომლებიც ფოთლებისა და ყლორტების სახით ძნელად გადასამუშავებელი მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ. მაგრამ დღეს გაირკვა, რომ ეს ორგანო ფაქტობრივად ნაკრძალის ერთგვარ როლს ასრულებს ნაწლავების ფლორის სასარგებლო მიკრობებისთვის.**

— ზოგიერთი დაავადების, მაგალითად, ქოლერის ან ამების დიზენტერიის დროს, სასარგებლო მიკროფლორა პრაქტიკულად იღუპება, — გვიხსნის ბილ პარკერი, ქირურგიის კათედრის დოცენტი დიუკის უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო სკოლიდან (აშშ). მაგრამ მისი წარმომადგენლები რჩებიან აპენდიქსის ვიწრო ყრუ არხში და ადამიანის გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ იბუდებენ მის ნაწლავებში.

პარკერის სიტყვებით, აპენდიქსი გვიცავს მოწამვლისა და პარაზიტებისგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ცხოვრების სხვა პირობებში აღმოვჩნდებით ხოლმე. მაგალითად, თუ ევროპელი საცხოვრებლად გადადის აფრიკაში, მისი კუჭნაწლავის ტრაქტი ახალ საკვებზე არ დაზიანდება ნაწლავის ამ წამონაზარდის წყალობით, რომელიც უმალვე იწყებს აქტიურ მუშაობას. უაპენდიქსოდ კი შეიძლება მოკვდე კიდეც დიარეით (კუჭის აშლილობაა).

## ნუშისებრი ჯირკვლები იმუნიტეტს ადევნებენ თვალყურს

**სასის ნუშისებრი ჯირკვლების, ანუ გლანდების ამოკვეთას ამერიკელები აღარ აწარმოებენ განურჩევლად პოლიომიელიტის შემდეგ, 1950-იან წლებში რომ მძვინვარებდა. აღმოჩნდა, რომ ბავშვები, ვისაც გლანდები აღარ ჰქონდათ, პირველები ავადდებოდნენ. იყვნენ უფრო მძიმე ავადმყოფები და კვდებოდნენ უფრო ხშირად, ვიდრე ამ ოპერაციის გადაუტანლები. ახლაც მიაჩნიათ, რომ ნუშისებრი ჯირკვლები ადენოიდებთან ერთად — ესაა წამონაზარდები ცხვირის უკანა ნაწილში (მათაც უდრტვინველად კვეთენ) — არის პირველი ბარიერი მიკროორგანიზმების გზაზე ადამიანის სხეულში.**

თურმე, ნუშისებრი ჯირკვლების ლიმფოიდური ქსელის სპეციალური ჩაღრმავებები — ეს ერთგვარი ლაბორატორია ყოფილა. აქ იმუნური სისტემა ანალიზს უკეთებს ყოველივე იმას, რაც ორგანიზმში ხვდება ჰაერთან და წყალთან ერთად: მიკრობები და ვირუსები, საკვები, მტვერი, მცენარეთა მტვერი. ამ ანალიზის საფუძველზე ორგანიზმი იმუშავებს შესაბამის ანტისხეულებს. შემჩნეულია, რომ ადამიანებს, ვისაც ამოკვეთილი აქვთ ნუშისებრი ჯირკვლები, უფრო ხშირად უვითარდებათ ბრონქიტები, ესე იგი ინფექცია უბრალოდ უფრო დაბლა ეშვება. ამას გარდა, სტატისტიკის შესაბამისად, იმ ბავშვების 70 პროცენტს, ვისაც აქვს დისბაქტერიოზი და კვების ალერგია, არა აქვთ ნუშისებრი ჯირკვლები.

## ნაღვლის ბუშტი ფსიქიკას მართავს

**ეს მსხლის სავსეტომრის მსგავსი ორგანო ღვიძლის ქვეშაა განთავსებული. მასში გროვდება ნაღველი. თუ ბუშტის კუნთის ტონუსი დაბლა იწევს, მაშინ მასშიც გროვდება ნაღველი, როგორც დატვირთულ ხსნარში, ცვივა ქოლესტერინის კრისტალები და ნაღვლის მჟავა, ქმნიან ქვიშას და ქვებს. რისთვისაა ის საჭირო?**

ჩინელი მედიკოსების ვარაუდით, ნაღველი არა მხოლოდ ხელს უწყობს საკვების გადამუშავებას, არამედ მონაწილეობს პროცესებში, რომლებიც დაკავშირებული არიან ემოციურ აღქმასთან. მაგალითად, იმავე ჩინელების დაკვირვებით, ადამიანებს, ვისაც აქვს „ტომარა“ და იგი ნორმალურად ფუნქციონირებს, იშვიათად აქვთ უმიზეზო შიში, პანიკა და ქრონიკული უძილობა.

უნაღვლისბუშტოდ შეიძლება სიცოცხლე. მაგრამ მასთან ერთად — უფრო საიმედოა.

## სიბრძნის კბილი

**მესამე უკანა კბილებს სიბრძნის კბილები ეწოდება — იმ მიზეზით, რომ ყველაზე გვიან ამოგვდის, როცა ადამიანი 16-30 წლისაა.** მაგრამ ყოველ მესამე კაცს დედამიწაზე ისინი ეზრდება არასწორად — მათთვის აღარაა ადგილი ყბის რკალში, რის გამოც ისინი ან განზე იზრდებიან, ანდა ტრავმას აყენებენ მეზობლებს. ამ შემთხვევაში ისინი უნდა ამოვიღოთ.

## კუდუსუნი

**ეს სამკუთხა ძვალი, რომელიც წარმოიქმნა ხერხემლის ოთხი-ხუთი მალის ერთმანეთში შეზრდით, ოდესღაც იყო კუდი — წონასწორობის დამცავი ორგანო, რომელიც ასევე არის განწყობილებისა და სხვა სიგნალების გადაცემისთვის. კუდით შეიძლება ჩამოეკიდო ტოტებზე.**

იმის შესაბამისად, რაც ადამიანი გახდა პირდაპირმავალი ძუძუმწოვარი, ეს ფუნქციები გადავიდა წინა კიდურებზე და მოთხოვნა კუდზე გაქრა. მიუხედავად ამისა, განვითარების ადრეულ სტადიებზე ადამიანის ემბრიონს აქვს კუდის წამონაზარდი, რომელიც ხშირად შემორჩენილია. ახალშობილთა დაახლოებით ერთი ორმოცდამეათიათასედი იბადება პატარა კუდით, რომელიც შეიძლება მოიშორო ორგანიზმისთვის ზიანის მიუყენებლად.

## ბალანი სხეულზე

**მოზრდილ მამაკაცებს სხეულზე აქვთ სამასიდან ხუთასიათას ბალნამდე. ქალებს უფრო ცოტა. ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ჯაგარი. ის იცავდა სიცივისგან. შიშის დროს ყალყზე დგებოდა, რითაც პატრონს ანიჭებდა უფრო სახიფათო და შთამბეჭდავ იერს. დღეს რისთვისღა გვჭირდება ბეწვი?**

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ბეწვი წარბებზე, წამწამებზე, ყურში, ცხვირში იცავს მნიშვნელოვან ორგანოებს მტვერისა და მწერებისგან. ჩარლზ დარვინი კი ვარაუდობდა, რომ თხელი ბეწვი სხეულზე ეხმარება ოფლის გამოყოფას. სიცივის დროს აბურძგნული ბალანი დღესაც გვაძლევს საშუალებას შევინარჩუნოთ თბილი ჰაერი. და ამ თვალსაზრისითაც სქელი ბეწვის ბედნიერი მფლობელები უპირატესად გამოიყურებიან თავიანთ „შიშველ“ თანამოძმეებთან შედარებით.

## მამაკაცის ძუძუსთავები

**ერთ-ერთი ადრეული სამეცნიერო თეორია ვარაუდობდა, რომ ძუძუები არის მამაკაცის უნარის ნიშანი აწოვოს ისინი, რაც ევოლუციის პროცესში დაიკარგა. მაგრამ მოგვიანებით გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ არც ერთი ჩვენი წინაპარი მამაკაცი არ აწოვებდა ძუძუს ბავშვებს.**

დღეს მიაჩნიათ, რომ ძუძუსთავები ყალიბდება ემბრიონის განვითარების იმ სტადიაში, როდესაც მისი სქესი არ არის ჩამოყალიბებული და როდესაც ჩანასახს ჯერ კიდევ არ დაუწყია დამოუკიდებლად გამოიმუშაოს შესაბამისი ჰორმონები. მას შემდეგ, რაც მოხდა გაყოფა, მომავალ მამაკაცებს აღარ უვითარდებათ სარძეე ჯირკვლები. მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული ძუძუები რჩება. ეს არაა ბუნების შეცდომა — მისთვის ასე უფრო იოლია. მამაკაცად და ქალად გაყოფა რომ ხდებოდეს ემბრიონის განვითარების უფრო ადრეულ სტადიებში, ეს მოითხოვდა რეპროდუქტიული სისტემის დამატებით გართულებას, მიაჩნიათ ბიოლოგებს.

სხვათა შორის, ფემინისტები მამაკაცის ძუძუსთავებს უთანაბრებენ ქალისას და მოითხოვენ უფლებას — რაიმე შეზღუდვის გარეშე — იარონ შიშველი მკერდით იქ, სადაც ამას ასე აკეთებენ მამაკაცები.

## ყურის კუნთები

**ჩვენს წინაპრებს შეეძლოთ, თავის შეუბრუნებლად სწრაფად შემოეტრიალებიათ ყურები საჭირო მიმართულებით — ისევე თავისუფლად, როგორც კატები და ცხენები. ამჯერად ეს უნარი აღარ გვჭირდება და ადამიანის ყურის კუნთები მკვეთრად შემცირდა მოცულობით. მხოლოდ ერთეულებს თუ შეუძლიათ ყურების მოძრაობა, როცა ამას აიძულებენ ყურის კუნთების რუდიმენტებს.**

ახლა მკვლევარები ტვინს იჭყლეტენ, ეს „ხელსაწყოები“ მართლა ასეთი უსარგებლოა, როგორც გამოიყურებიან. ან, იქნებ, მათშიც არის რაღაც აზრი, სადამდეც, უბრალოდ, უნდა მივიდეთ.

უცხოური პრესის მიხედვით

## „ელექტრონული მაკნატუნა“



კომპიუტერების მომსახურე იაპონელმა სპეციალისტებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ ამ საოცარი მოწყობილობების ყველაზე დიდი მტრები ვირთაგვები არიან. კაცობრიობის ამ განუყრელი მეგზურების გამო ყოველწლიურად მწყობრიდან გამოდის რკინიგზის, საწარმოს, სავაჭრო ცენტრისა და ა.შ. ელექტრონული მართვის უამრავი უმნიშვნელოვანესი სადგური. მიაჩნდათ, რომ ვირთაგვებს იზიდავს „გემრიელი“ გარსი, რომელსაც ისინი ხშირად მავთულებთან ერთად კვნეტენ. მაგრამ დამატებითი კვლევებით დადგინდა, რომ ცხოველები პირველ ყოვლისა კომპიუტერების მუშაობისას წარმოქმნილი გარკვეული სიხშირის ულტრაბგერით რხევებზე რეაგირებენ. მათთვის სხვებზე მეტად მომხიბლავია ის სიხშირე, რომელზეც ისინი ერთმანეთთან ურთიერთობენ — ესაა 24 კილოჰერცი. ელექტრონიკის სპეციალისტებმა ისარგებლეს ამ აღმოჩენით და შექმნეს ვირთაგვების საგანგებო ხაფანგი, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ესენია მღრღნელების შესატყუებელი ულტრაბგერითი გენერატორი, მღრღნელების ჰაერით შემსრუტავი ვაკუუმის საკანი, დაბოლოს მათი შემგროვებელი კონტეინერი. ახალ ხაფანგს „ელექტრონული მაკნატუნა“ დაარქვეს.

## ძიმუს კალენდარი



მას შემდეგ, რაც პაპმა გრიგოლ XIII 1582 წელს ახალი წელთაღრიცხვა შემოიღო, მთელი მსოფლიო ერთიან ახალ გრიგორიანულ კალენდარს იყენებს, თუმცა აზიის მრავალ ქვეყანაში დღემდე შემორჩა დროის აღრიცხვის უფრო ძველი ხერხები. მათ რიცხვს ტრადიციული იაპონური კალენდარიც განეკუთვნება, რომელიც ამ ქვეყნის მითიური დამაარსებლის ძიმუდან იღებს დასაბამს.

ბუდისტურ ზოდიაქოში თორმეტი ცხოველია: ვირთაგვა, კურო, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ვერძი, მაიმუნი, მამალი (ქათამი), ძაღლი და ტახი. ლეგენდით ზოდიაქოს ნიშნების თანმიმდევრობა შეესაბამება მომაკვდავი ბუდას სარეცელთან ცხოველთა მისვლის რიგითობას.

წელთა აღსანიშნავად ამ სისტემაში ორი კომპონენტის კომბინაციას იყენებენ: პირველია ციკლური ნიშანი, მეორე კი ბუდისტური ზოდიაქოს ნიშანი. ციკლური ნიშანია ათი, მათ ზეციურ ღეროებს უწოდებენ, ხოლო ზოდიაქოს ნიშნებს — მიწიერ ტოტებს, რომლებსაც სახელები ძველჩინური ნატურალისტური ფილოსოფიიდან აღებული ბუნების ხუთი ელემენტის მიხედვით აქვთ მიცემული. ესენია ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი და წყალი. ყველა ელემენტი ორი იპოსტასის — უფროსი და უმცროსით არის წარმოდგენილი, რომელიც წელიწადგამოშვებით იცვლება, ხოლო ღეროები იცვლებიან ყოველ ორ წელიწადში — ორი წელია ხე, ორი — ცეცხლი და ა.შ.

## თუკი ნამდვილად მახინჯი ხართ...

... „მაშინ თქვენი სახის წყალობით საათში შეგიძლიათ 15 დოლარი იშოვნოთ“, — ამ სახის განცხადება გამოჩნდა წლის დამდეგს ლონდონის გაზეთებში. ყველას, ვისაც თავი ამ განცხადების შესაბამისად მიაჩნდა, შეეძლო ახლადშექმნილი ფირმის „აგლის“ მენეჯერს დაკავშირებოდა, რაც ინგლისურად „მახინჯს“ ნიშნავს.

საინტერესოა, ვის ეძებს „აგელი“? მას აინტერესებს შეუხედავი ანდა, სულაც, მახინჯი სახეები. იგი ისეთი სახის პატრონებს ქირაობს, ვის დანახვაზეც ხალხი შემოტრიალდება ხოლმე. ფირმის მეპატრონეთა აზრით, ახლა სწორედ რომ ასეთი გარეგნობის ხალხი სჭირდება რეკლამას, რადგან სარეკლამო სილამაზე შეჩვეულ და ჩვეულებრივ საქონლად გადაიქცა. საგულისხმოა, რომ ათასზე მეტი კანდიდატიდან მხოლოდ 70 მამაკაცი და 45 ქალბატონი შეარჩიეს. პირველი ჰონორარის მიღებისას, ფირმის „ვარსკვლავმა“, პროფესიონალმა მოჭიდავემ ლინდი კოლდერმა განაცხადა: „ამდენ ფულად ახლა საკუთარ მეუღლესაც ლამაზად მივაჩნივარ“.

ფეხბურთი

# პრობლემები გვაკლდა?

**გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ისეა საქართველოს ეროვნული ნაკრების საქმე. მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან — იტალიელებთან ხვალინდელი შესარჩევი მატჩის წინ თითქოს ტრავმირებული მერებაშვილისა და მჭედლიძის არყოფნა არ ყოფილიყოს საკმარისი, თბილისში გამართულ ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე ხმალაძეც დაშავდა.**

სამაგიეროდ, გვაქვს სასიამოვნო ინფორმაციაც. კერძოდ, როგორც იქნა, წერტილი დაესვა გაჭიანურებულ დავას მოსკოვის „სპარტაკის" 16 წლის ვუნდერკინდის ჯანო ანანიძის მომავლის გამო და მისი დებიუტი „ჯვაროსანთა" შემადგენლობაში სწორედ „სკუადრა აძურასთან" შედგება.

ეს მტკივნეული საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცისა და „სახალხო გუნდის" თავკაცის ვალერი კარპინის შეხვედრის შემდეგ მოგვარდა, საბოლოო გადაწყვეტილება კი თვით ჩვენმა თანამემამულემ და მისმა ოჯახმა მიიღო.

სხვათა შორის, ჯანო სამშობლოში მამის თანხლებით ჩამოფრინდა და სათქმელი მოკლედ მოჭრა: „მე ქართველი ვარ და აბა სად უნდა ვითამაშო?"

შეგახსენებთ, რომ ანანიძის ტრანსფერი რუსეთის ყველაზე პოპულარულ კლუბთან რევაზ ჩელებაძემ „გაჩარხა".

კრივი

# ორ დღეში - ერთი დანაკლისი



**მილანში დაიწყო მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ ნაკრების მთავარი მწვრთნელის რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით.**

ასპარეზობის პირველ დღეს 64 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან ღვამიჩავამ მავრიტანიელი ლუის კოლინი დაამარცხა 21:9 და მომდევნო წრეში გავიდა. 60 კილოში კობა ფხაკაძემ ლიტველ აურიმას ნაუდისს სძლია 17:10, ლევან გულედანი (75კ კი ამერიკელ სტივ როლს დანებდა — 3:10.

დანარჩენი ქართველი მოკრივეები დღეს, ხვალ და ზეგ გავლენ რინგზე და ასე დაწყვილდებიან: ერანოზ ჩეჩელიანი — ფერჰათ ფეჰლივანი (თურქეთი, 48 კგძ, მერაბ თურქაძე — ნორბერტ კალუჟა (უნგრეთი, 51ძ, გიორგი კილანავა — კრისტიან ლაკატოში (უნგრეთი, 54ძ, იროდიონ ონაშვილი — ბრანიმირ სტანკოვიჩი (სერბეთი, 57ძ, კახაბერ ჟვანია — იუშიუკი ჰირანო (იაპონია, 69ძ, რევაზ ქარელიშვილი — ეომელი კატაისტო (ფინეთი, 81ძ, დავით წიკლაური — მაქსიმილიანო სოსა (არგენტინა, 91ძ.

ჭადრაკი

# მოგებით დაიწყეს

**ჩინეთის ქალაქ ნინბოში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი 10 კოლექტივის მონაწილეობით.**

პირველ წრეში საქართველოს ნაკრებმა ვიეტნამის გუნდს სძლია (ნანა ძაგნიძე — თრამ ჰოანგი 0,5:0,5, ლელა ჯავახიშვილი — ნგუენ ჰამი 1:0, სოფო ხუხაშვილი — ჰუო ჰოანგი 0:1, მაია ლომინეიშვილი — ნგოკ ჰამი 1:0ძ 2,5:1,5. **დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** პოლონეთი — აშშ — 2,5:1,5, ჩინეთი-2 — ჩინეთი-1 — 1:3, უკრაინა — რუსეთი — 2:2, ინდოეთი — სომხეთი — 2:2.

**გუშინ: საქართველო — ჩინეთი-2 — 2:2**

# მესამედი მიიღია



**იტალიის ქალაქ ფერმოში 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე საქართველოს 18 წარმომადგენელი მონაწილეობს.**

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მხოლოდ ქეთი წაწალაშვილია. 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა, ირაკლი ბერაძემ, ნინო ხომერიკმა, ზურაბ ჯავახაძემ და დავით ბენიძემ. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები აქვთ ადა ქაქუთიას, ნატო იმნაძეს, მარიამ დანელიას, მერი არაბიძესა და ლუკა პაიჭაძეს, ხოლო ნოდარ ლორთქიფანიძის, ნინო დახუნდარიძისა და გიორგი სიბაშვილის ანგარიშზეა 1,5-1,5 ქულა. ალექსანდრე ურდულაშვილსა და ლიკა კობეშავიძეს თითო ქულა აქვთ, გიორგი ცირეკიძეს კი — 0,5 ქულა.

ძიუდო

# გადაამისამართეს



**წლეულს 22-25 ოქტომბერს ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობა ათენში უნდა გამართულიყო, მაგრამ ბერძნებმა თავი ვერ მოაბეს საორგანიზაციო საკითხებს.**

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ინსპექტორებმა მოსამზადებელი ტემპი არასაკმარისად მიიჩნიეს და შეჯიბრების მასპინძლობის უფლება პარიზს გადაულოცეს.

კალათბურთი

# გოგონა „კალასის" მაისურით

**ათი წლის წინათ ჩამოყალიბდა საკალათბურთო კლუბი „კალასი" (პრეზიდენტი და მწვრთნელი ირაკლი ბერიძე, ვიცე-პრეზიდენტი ნონა ჩომახიძე), რომლის წევრებიც პირველი დღიდანვე გლდანის 71-ე საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ვარჯიშობენ სკოლის დირექტორის რამაზ სუპატაშვილის ხელშეწყობით. საგულისხმოა, რომ ამ კლუბში აღზრდილი ლუკა მჭედლიძე დღეს დეტროიტის სამედიცინო კოლეჯის სტუდენტია და სასწავლებლის გუნდის ღირსებას იცავს, გიორგი გოგოლაძე კი თბილისის „დინამოს" დუბლებში თამაშობს.**

— თავიდან ვაჟებთან ერთად გოგონების სექციაც ჩამოვაყალიბეთ, — გვითხრა ირაკლი ბერიძემ. — თამელიც დღეს ვაჟთა გუნდში თამაშობს, რადგან გოგონები წამოიზარდნენ თუ არა, კალათბურთს თავი დაანებეს და სექციაც დაიშალა. წლეულს გაზაფხულზე ქალაქის პირველობაზე ვიასპარეზეთ. ნინომ იმდენი იყოჩაღა, რომ ვაჟთა გუნდის სასტარტო ხუთეულში მოხვდა. ბევრს ეუცხოვა ეს, მაგრამ მალე ყველა შეეგუა ამ ფაქტს და ბიჭები აღფრთოვანებასაც ვერ მალავდნენ მისი თამაშით. ტურნირის ბოლოს ნინო შეჯიბრების საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს და სამახსოვრო თასიც გადასცეს. გუნდმაც ცხრიდან ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.



წლეულს ზაფხულში ლიტვის ქალაქ ალიტუსში უნდა წავსულიყავით იქაურ კლუბთან ერთობლივი წვრთნისა და ამხანაგური მატჩების გასამართავად. სამწუხაროდ, მასპინძლებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და ბალტიისპირეთში ვერ გავემგზავრეთ. სამაგიეროდ, ქობულეთში ორკვირიანი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ, მერე ცოტა დავისვენეთ და ვარჯიში განვაახლეთ. ახალ სეზონს მომზადებული გვინდა შევხვდეთ — ოქტომბრიდან თოთხმეტ-თხუთმეტწლიანთა საქართველოს პირველობაში ჩავებმებით და საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთ.

ესაუბრა
**ლექსო ცინცაძე**

რეტრო

# 33 წლის წინათ

გუშინ, 33 წლის წინათ, გენიალური ნოდარ ახალკაცის დამოძღვრილმა თბილისის „დინამომ" მეექვსე ცდიდან ხორცი შეასხა თაობათა ოცნებას, მოსკოვის „ლუჟნიკებში" ერევნის „არარატი" დაჯაბნა — 3:0 და პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი.

დააკვირდით შემოთავაზებულ ფოტოს. სწორედ ამ ლომკაცებმა ჩაუყარეს საფუძველი დინამოელთა „ოქროს ხანას".

მაშ, დაიმახსოვრეთ: 1976 წლის 3 სექტემბერი.



ინტერნეტიდან

## ისინბაევას — ასტურიის პრინცის „ნობელის" პრემია

**რუსეთელი ჭოკით მხტომელი, ორგზის ოლიმპიური და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, 27-გზის მსოფლიო რეკორდსმენი ელენა ისინბაევა გახდა ასტურიის პრინცის უდიდესი „სპორტის პრემიის" — სხვანაირად „ნობელისას" რომ უწოდებენ — ლაურეატი.**



ქალაქ ოვიედოში შეკრებილმა ჟიურიმ ასეთი გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. აღნიშნა რა, რომ, „მისმა მიღწევებმა ის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენად აქცია თავის დისციპლინაში".

ამ პრემიისთვის ბრძოლაში ისინბაევამ 20 ქულით გადაასწრო საშუალო დისტანციაზე ესპანელ მორბენალ ქალს მარტა დომინგესს, რომელმაც 9 ქულა დააგროვა. ჯილდოს გადაცემა გაიმართება 27 ოქტომბერს ესპანურ ოვიედოში.

ასტურიელი პრინცის ფონდი 1981 წლიდან ყოველწლიურად ანიჭებს ამ პრემიას რვა ნომინაციაში, საიდანაც ერთ-ერთი სპორტია. ამ პრემიას ხშირად „ესპანურენოვანი სამყაროს ნობელის პრემიას" უწოდებენ — ლაურეატი ღებულობს ჩეკს 50 ათას ევრზე, სტატუეტსა და დიპლომს.

## იწყება „აბრეშუმის გზა"

**დღეს ყაზანში იწყება 5-13 სექტემბრისთვის დაგეგმილი უგზოუკვლო ავტორალი — რეიდის „აბრეშუმის გზის" მონაწილე 25 ქვეყნის 62 მსუბუქი ავტომობილის და 21 სატვირთო მანქანის ეკიპაჟების ადმინისტრაციული და ტექნიკური შემოწმება.**

ავტომარათონი სტარტს აიღებს შაბათს. ის ქალაქის ცენტრში გაივლის 2013 მეტრს, შემდეგ კი ძირითად ტრასას დაადგება, რომელიც რუსეთის, ყაზახეთისა და თურქმენეთის ტერიტორიებზე გადის.

„დაკარის" მსგავსი რეიდის მონაწილეებს მოუწევთ 4500 კილომეტრის გავლა, საიდანაც 3200 კმ — სპეცმონაკვეთია. რალის ფინიში აშხაბადში გაიმართება.

## როგორ ემზადებიან ოლიმპიადისთვის

**ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელმა კომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება იმ ოთხ ქალაქში მოწყობილ ინსპექციის შედეგებზე, რომლებმაც მოიპოვეს პრეტენდენტობის უფლება 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე.**

მოხსენებაში არ არის მათი შანსების არავითარი შეფასება, სამაგიეროდ, ხაზგასმულია ყველა განაცხადის სუსტი მხარეები.

მაგალითად, ჩიკაგოს აკლია ფინანსური გარანტიები, ტოკიოს საზოგადოებრიობის სუსტი მხარდაჭერა აქვს, მადრიდს კარგად არა აქვს მოფიქრებული განაცხადი, რიოდე-ჟანეიროს კი აუცილებლად სჭირდება ქალაქის ყველა პროექტისა და სასტუმროების ბიზნესის გულმოდგინე მონიტორინგი.

გამარჯვებული ქალაქი 2 ოქტომბერს გამოცხადდება კოპენჰაგენში.

## მაფიამ ბერბატოვს ხელი შეუშალა

**„მანჩესტერ იუნაიტედის" ბულგარელ თავდასხმელ დიმიტრი ბერბატოვს მაფიამ პრობლემები შეუქმნა.**

საქმე იმაშია, რომ ფეხბურთელს ქალზე მოეწონა „პლეიბოის" ვარსკვლავი ნიკოლეტა ლოზანოვა, მაგრამ ის მაფიის თავკაცს გიორგი სტოლოვსაც „ევასებოდა". თითქოს არც თავად ლამაზმანი იყო წინააღმდეგი თავის სამშობლოში პოპულარული ფეხბურთელის საწოლში მოხვედრისა.



მაგრამ „კეთილმა ადამიანებმა" ამაზე მაფიოზს შეატყობინეს. მან კი „მანჩესტერ იუნაიტედის" ახალ შენაძენს ორიოდე წერილი გაუგზავნა, შეტყობინებით, რომ ის კარგად არ იქცევა. ასე რომ, ალბათ ამიერიდან ბერბატოვი უფრო დაუფიქრდება ლამაზმანების არჩევანს.

**დღის მთავარი თემა**

**(მეორე გვერდიდან)**

# ეს მერამდენედ, ჰაოს?!

თურქების გენოციდისგან ოტებული სომეხნი ქართველებმა შევიფარეთ. ეს უკვე მერამდენედ (მოყოლებული უხსოვარი დროიდანძ. საკუთარმა თანამოძმეებმა არ დააბრუნეს სამშობლოში. კვლავ ქართული ტოლერანტობა და გაჭირვებულთა მოფერება-დახმარების, გულში ჩახუტების გადამეტებული გრძნობა და... მეოცე საუკუნეში, ახლად დამოუკიდებლობაგამოცხადებულმა საქართველომ რამდენჯერმე იწვნია სომეხთა მუხანათური თავდასხმა. ამავე საუკუნის მიწურულს კი სისასტიკით განთქმულმა „ბაგრამიანის ბატალიონმა“ სისხლის კალო დაატრიალა აფხაზეთში. ქართველთა მოკვეთილი თავებით „ჰაოსქართლოსიანთა“ ძმობადავიწყებულნი ფეხბურთს თამაშობდნენ, ქართველებზე ნადირობდნენ, ერთმანეთს სისასტიკეში ეჯიბრებოდნენ, რათა აფხაზთა მიერ შეპირებულ ქართველთა სახლკარს დაპატრონებოდნენ და... ოცნებაც აისრულეს. ახლა რუსთა (ეს მერამდენედ მიწევს ამ ჩვენი ჩრდილოელი „ძმის“ ხსენება სხვათა წამქეზებელთა კონტექსტშიძ გაქეზებით საქართველოს ძირძველ მიწაზე კომპაქტურად ჩასახლებული სომხები, თავიანთი ქვეყნის პირველი პირის სერჟ სარქისიანის პროვოკაციული განცხადებით აღფრთოვანებულნი, სომხური ენის რეგიონალურ ენად აღიარებას ითხოვენ. თუ სომხეთის პრეზიდენტმა საქართველოს კონსტიტუცია არ იცის და ამ სიბრიყვეს ასე როყიოდ აცხადებს, მინდა შევახსენო, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში არსებობს სახელმწიფო ენა, ეს არის ქართული და აფხაზური. თუ იცის და ისე აბაიათებს ამ სისულელეს, ეს მაშინ წმინდა წყლის პროვოკაციაა. მის მეორე პროვოკაციულ განცხადებაზე — სომხური ეკლესიის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შესახებ, — ამ მოთხოვნას ჩვენი საპატრიარქო უფრო კონკრეტულად გასცემს პასუხს.

სერჟ სარქისიანის ამგვარი დაშნაკური მოთხოვნები, არც მეტი არც ნაკლები, ჩვენი ხელისუფლების უნიათობის ბრალია, რადგან მათ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად, რომ სამშვიდობო-სამეზობლო პოლიტიკა გამოეცხადებინა, არც ასეთი ტიპის პროვოკაციები იქნებოდა და არც მათი ლიდერები გაგვითავხედდებოდნენ. ხელისუფლების წინდაუხედავი პოლიტიკური ქმედებების გამო საქართველოს დაკარგული აქვს ეროვნული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და არსებობს იმის საშიშროება, რომ ჩვენი ტერიტორიის დაშლა კვლავაც გაგრძელდეს.

ზემოთ ქართველთა ტოლერანტობა ვახსენეთ.

ყველას მოგეხსენებათ, რომ მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს საქართველოს აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ აქაც გარეშე ძალების წაქეზებით ავტონომია და ბორჩალოს ყოფილი მაზრის აღდგენა განიზრახა. სიტუაცია ომის საშიშროების წინაშე დადგა, მაგრამ საქართველოს არც ერთ კუთხეში ქართველს აზერბაიჯანელთათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. როდესაც აფხაზეთში ომი მძვინვარებდა და „ბაგრამიანელები“ ფაშისტებს აჭარბებდნენ სისასტიკით, არც თბილისში და არც ჯავახეთის რეგიონში სომეხი ეროვნების მოქალაქეთათვის თმის ღერიც არავის ჩამოუგდია.



ასობით ეროვნება დავასახელეთ, ვინც ჩვენმა გულკეთილობამ შეიკედლა და ხელი გაუმართა. თითქმის ყველამ ზურგი გვაქცია გარდა ებრაელი ერისა, რომელსაც 26 საუკუნის მანძილზე ერთხელაც არ უღალატნია ქართველთა ძმობისთვის, უფრო მეტიც, ყოველთვის გვერდში გვედგნენ და ჩვენს სამშობლოს მეორე სამშობლოდ თვლიან ახლაც, თავიანთ აღთქმულ მიწაზე დაბრუნებულნი.

თქვენ კი რა დაგემართათ? ეს მერამდენედ, ჰაოს!

**მამუკა ვაშაკიძე**

***P.S.* ახლანდელ აფხაზეთში, სადაც სეპარატისტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და რუსეთმაც დასტური მისცა და აღიარა, პროცენტულად ყველაზე ნაკლები აფხაზი დარჩა. მათ სჭარბობენ რუსები, სომხები და სხვა ერის (უმეტესად ჩრდილოკავკასიელი) ხალხები, რომლებიც დაეპატრონენ ამ მიწას. აფხაზ ხალხს თავად აფხაზებმა შეუქმნეს საშიშროება იმისა, რომ ასეთ ყოფაში ჩავარდნილიყვნენ. ახლანდელ სამაჩაბლოშიც, სადაც ოსმა სეპარატისტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და რუსეთმაც დასტური მისცა და აღიარა, პროცენტულად ყველაზე ნაკლები ოსი ეროვნების ადგილობრივი მცხოვრები დარჩა. ოს ერს სამაჩაბლოში გადაგვარების საფრთხე ემუქრება.**

***იქნებ თქვენც დაფიქრებულიყავით ჯავახეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე ჩასახლებულ-შეფარებულნო და რუსეთისაგან პროვოკაციაზე წამოგებულნო ჰაოსიანელნო? იქნებ, თქვენც რუსთა პროვოკაციაზე წამოგებულ სეპარატისტთა ბედი გელით?***

***მ. ვ.***

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე (მილებზე) XV ლოტად.**

| № | მილის დიამეტრი | რაოდენობა მეტრებში | საწყისი გასაყიდი ფასი |
|---|---|---|---|
| I ლოტი | 300 მმ-იანი | 847,25 | 20 156,10 ლარი |
| II ლოტი | 300 მმ-იანი | 847,25 | 20 156,10 ლარი |
| III ლოტი | 400 მმ-იანი | 25.00 | 909,25 ლარი |
| IV ლოტი | 500 მმ-იანი | 876,6 | 40 016,80 ლარი |
| V ლოტი | 500 მმ-იანი | 876,6 | 40 016,80 ლარი |
| VI ლოტი | 500 მმ-იანი | 876,6 | 40 016,80 ლარი |
| VIIლოტი | 700 მმ-იანი | 1099,78 | 88 015,40 ლარი |
| VIIIლოტი | 700 მმ-იანი | 1099,78 | 88 015,40 ლარი |
| IXლოტი | 800 მმ-იანი | 528.00 | 33 997,92 ლარი |
| Xლოტი | 1000 მმ-იანი | 500.00 | 57 415 ლარი |
| XIლოტი | 1200 მმ-იანი | 972.00 | 173 988 ლარი |
| XIIლოტი | 1200 მმ-იანი | 972.00 | 173 988 ლარი |
| XIIIლოტი | 1200 მმ-იანი | 972.00 | 173 988 ლარი |
| XIVლოტი | 1200 მმ-იანი | 972.00 | 173 988 ლარი |
| XVლოტი | 1200 მმ-იანი | 972.00 | 173 988 ლარი |

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5% - ს; აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს; აუქციონის “ბე” შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73.□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს “ბე”-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე”-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415.

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33: 899 34-50-85

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

**ქ. თბილისის 90-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაფორმებული სკოლის შენობის 52 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად ბუკეტის ფუნქციონირებისთვის. საჯარო ურთიერთობის ვადა შეთანხმებით.**

**მინიმალური თვიური გადასახადი შეადგენს 100 დოლარს.**

**განცხადების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 79-98-72. 893-96-45-50 თამარი.**

საქმე №2-3

## გარდაბნის რაიონული სასამართლო განჩინება

**02 სექტემბერი 2009 წელი** **ქ. გარდაბანი**

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „თბილსრესის“ ქონების მიმართ წარმოებულ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი, რა დროსაც

**დაადგინა:**

1. სს „თბილსრესის“ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2009 წლის 08 სექტემბერს 14:00 საათზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში სხდომის დარბაზი №1;
2. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“ და „24 საათი“, ასევე ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიაში;
3. გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;
4. განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

**მოსამართლე ხელმოწერილია ქ. ლუაშვილი**

**ასლი დედანთან სწორია. კანც. გამგე: ნ. სვანი**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

**ინფორმაცია**



## აკი გაუსაძლისი პირობებიაო?

**საქართველოს შსს-ის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის შეფასებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინციდენტების რაოდენობა შემცირდა.**

**ამის შესახებ უტიაშვილმა ჟურნალისტებს სოფელ ერგნეთში მიმდინარე ინციდენტებისა და პრევენციის რეგულირების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დაწყების წინ განუცხადა.**

**— ინციდენტების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, სროლები უფრო ნაკლებია ვიდრე ადრე, თუმცა კვლავ გრძელდება მშვიდობიანი მოქალაქეების გატაცება და მათი ქონების განადგურება, — განაცხადა უტიაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**სააქციო საზოგადოება „გორგასლის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ოფისის მენეჯერს ნინო ანთიძეს მამის**

**იმზურგ (იური) ანთიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**გიორგი, ლია, მაია, პაატა გოგოლაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის ვალერი მჭედლიშვილის უსათნოესი და უკეთილშობილესი მეუღლის**

**მანანას**

**გარდაცვალების გამო.**

**ინფორმაცია**

## იქნებ ელირსოთ მევენახეებს...

**გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შალვა მჭედლიშვილმა დააკმაყოფილა მევენახეების სარჩელი.**

**სასამართლომ შპს „ალაზნის ველი და კომპანიას“ 2007 წლის შემოდგომაზე გლეხებისგან მიღებული ყურძნის თანხის დაუყოვნებლივ გადახდა დააკისრა.**

**მევენახეთა ინტერესებს სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისის წარმომადგენელი იცავდა. იურისტის თქმით, კომპანიას მოქალაქე ვახტანგ ჯადუგიშვილის სასარგებლოდ 1390 ლარის, ხოლო ვაჟა დვალიშვილის სასარგებლოდ 220 ლარის გადახდა დაეკისრა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ვაი თქვენს პატრონს!

# უკულტურო „კულტურული რევოლუცია“

**ალბათ გახსოვთ გოდერძი ჩოხელის შესანიშნავი ფილმი „ადამიანთა სევდა“, რომელშიც არის ერთი საინტერესო ფრაგმენტი, როდესაც თავდამსხმელები აპირებენ „კულტურულთა“ სოფლის აღებას.**

ისინი უკუსვლით შეიჭრნენ სოფელში და „ჰაიტ თქვე კულტურულებოს“ ძახილით ატყვევებენ გაოცებულ და დაბნეულ მოსახლეობას.




როდესაც ეს ფილმი ვნახე, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე თვითონ გავხდებოდი მომსწრე უკულტურო, უჯიშო, ურწმუნო და უსქესო ხროვის შემოსევისა, რომლებიც ბოლო ათი წელია დემოკრატიისა და დასავლური ცივილიზაციის საკმაოდ შელანძღულ ნიღაბს ამოფარებულნი, ყველანაირი მეთოდებით ებრძვიან ჭეშმარიტ კულტურას, ჭეშმარიტ რწმენას, წარსულსა და ღირსეულ მომავალს.

„დასავლურ ცივილიზაციას ნაზიარები მასის“ პარტიული გაზეთის „24 საათის“ 3 სექტემბრის „ფიფქიან ნომერში“ დაიბეჭდა ვინმე **გიგა ზედანიას** საოცრად უაზრო, ბოღმიანი წერილი — **„იგივე ინტელიგენტი“,** რომელსაც ნამდვილად არ მივაქცევდი ყურადღებას და შემოდგომის ბუზის ბზუილად ჩავთვლიდი, რომ არა ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის მხცოვანი თაობის შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

ძალიან კარგად ვიცი, რომ არავითარი აზრი არა აქვს გიგა ზედანიასა და მისნაირებისთვის იმის ახსნას, თუ რას ნიშნავს სიტყვა ინტელიგენტი ან არისტოკრატი, აზრი არა აქვს მათთან **„დასტაევსკიზე“** საუბარს, აზრი არა აქვს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ერთსქესიანი ქორწინების ნებადამრთველი „ეკლესიის“ შედარებას. ამიტომ უბრალოდ გავაკეთებ ნოდარ დუმბაძის რომანის „მზიანი ღამე“ ერთ-ერთი პერსონაჟის პერიფრაზს:

— ბატონო „კულტურულებო!“, რომ იცოდეთ, მთელ ქართველ ხალხს, საქართველოს მთელს მოსახლეობას **ბიძინა კვერნაძისა** და დოსტოევსკის ერთი ნაწარმოები ურჩევნია მთელს თქვენს „დასავლურ ცივილიზაციას“ და „მისიონერული ცნობიერებით აღვსილ ხელისუფლებას“.

ისე, ერთ რამეში კი ნამდვილად ვეთანხმები გიგა ზედანიას, — დღეს არსებული ვითარება ნამდვილად არ ჰგავს სტალინის ეპოქას. ის უფრო მაო ძედუნის მიერ წარმოებულ „კულტურული რევოლუციის“ ტყუპისცალია.

იმ „კულტურული რევოლუციისა“, რომელსაც **„უკულწუროები“** აკეთებენ.

**გია გაბრიჭიძე**

*P. S. ვინმე გიგა ზედანიას მიერ ქართული ინტელიგენციის „რუსეთუმობის“ „დასამტკიცებლად“ გამოყენებულ სიტყვებს „ინწელიგენტი და დასტაევსკი“, პირდაპირ ვიტყვი, რომ მაგარი „დიშოვი“ შედარებაა და „დაჟე“ „ვანოს შოუშიც“ არ გამოდგება.*

*გ. გ.*

## ანეკდოტები

— ქვირფასო, სთხოვე მამაჩემს ჩემი ხელი?

— ჯერ არა.

— მაგრამ შენ ხომ დამპირდი...

— იცი რა, ისეთ კარგ ხასიათზე იყო, ამჯერად ვარჩიე, ხუთი ათასი დოლარის სესხება მეთხოვა...

* * *

— ვასილ ივანიჩ, ანკამ თქვენზე ანეკდოტი შეთხზა.

— ეს შენი ბრალია, პეტკა! თუ ქალი ტყვიამფრქვევის წმენდის ნაცვლად ანეკდოტებს იგონებს, ესე იგი, ჩემი ადიუტანტი იმპოტენტი ყოფილა.

* * *

ხალხით გადაჭედილ მეტროს ვაგონში კაცი ყვირის:

— თუ ღმერთი გწამთ, ვინმემ მიშველეთ! ჩემმა ბიჭმა უცაბედად ორლარიანი გადაყლაპა და იხრჩობა!

ამ ძახილზე ბრბო ერთმა ჩასუქებულმა ქალმა გაარღვია, ბიჭს გენიტალიებში ეცა და მაგრად მოუჭირა. გამწარებულ ბიჭს ყვირილი აღმოხდა და ყელიდან ორლარიანი ამოუვარდა.

— ყოჩაღ! თქვენ ალბათ სასწრაფო დახმარებაში მუშაობთ, არა? — ქალს მადლობას უხდის გახარებული მამა.

— არა, საგადასახადო ინსპექციაში.

* * *

ანტიალკოჰოლური კამპანიისას გორბაჩოვმა ციმბირიდან იქაური ხელმძღვანელი ამხანაგების დეპეშა მიიღო.

— სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ ოცი ეშელონი არაყი, თორემ ხალხი გამოფხიზლდა და კითხულობს, სადაც არის ჩვენი მამა-მარჩენალი მეფეო.

* * *

— შეფ, რა პრეტენზიები გაქვთ თქვენ პირად მდივან ქალთან? იგი ხომ ფაქტობრივად ყველა თქვენს სურვილს გუმანით ხვდება...

— კი ხვდება, მაგრამ არც ერთს არ ასრულებს...



## დღის კალენდარი

## 4 სექტემბერი







### წლის 247-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 118 დღე.

### მე-13 შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.

**მოსკოვის წმიდა ალექსი მიტროპოლიტის მონასტერში ივერიისად წოდებული ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული (1650წ. ხსენება მოწამეთა: ალათონიკესი, ზოტიკესი, თეოპრეპისა, აკვინდინესი, სევერიანესი და სხვათა (IVს; მღვდელმოწამე ათანასესი ეპისკოპოსისა (270-275წ; ღირსი ანთუსასი (დაახლ. 198წ და მსახურთა მისთა: მოწამეთა ქარისიმესი და ნეოფიტესი (IIIს; მოწამე ევლალია ქალწულისა (დაახლ. 303წ.**

**საქართველოს (ივერიისა) ღვთისმშობლის ხატი.** 1622 წელს შაჰ აბასმა დალაშქრა საქართველო, გაიტაცეს ბევრი სიწმინდე. საქართველოს ღვთისმშობლის ხატი ვინმე სტეფანეს ხელში აღმოჩნდა. მან სიზმარში ნახა ანგელოსი, რომელმაც უთხრა, რომ ხატი 1603 წელს დაარსებულ არხანგელსკის ეპარქიის შავი მთის მონასტრისთვის შეეწირა. 1654 წელს ხატი მოსკოვში გადაასვენეს.

**წმ. მოწამენი ალათონიკე, ზოტიკე, თეოპრესი, აკვინდინე, სევერიანე, ზენონი** და სხვები ევნენ იმპერატორ მაქსიმიანეს დროს. წმ. მოწამე ალათონიკე დიდგვაროვან ჰიპასიეთა შთამომავალი იყო. იგი ქალკედონში მოკლეს. მისი წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში მისივე სახელობის ეკლესიაში დაასვენეს.

**მღვდელმოწამე ათანასე – ქალაქ ტარსის ეპისკოპოსი, რომელმაც მონათლა დედა ანფუსა,** — ხმლით აჩეხეს იმპერატორ ავრელიანეს დროს.

**მოწამე ევლალია** ესპანეთის ქალაქ ბარკიონის მახლობლად ცხოვრობდა. ის ქრისტეს რჯულს მტკიცედ იცავდა. იმპერატორების დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს მიერ ქრისტიანთა დევნისას მას მრავალი გვემა მიაყენეს.

### დაიბადნენ:

**1768 — ფრანსუა რენე დე შატობრიანი,** ფრანგი მწერალი, პოლიტიკოსი.

**1824 — ანტონ ბრუკნერი,** ავსტრიელი კომპოზიტორი, პედაგოგი.

**1857 — ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი,** დრამატურგი, მსახიობი, რუსეთის სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1927 წელს.

**1882 — ლეონჰარდ ფრანკი,** გერმანელი მწერალი.

**1954 — გია ნოდია,** ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი.

### გარდაიცვალნენ:

**1956 — სესილია წუწუნავა,** ცნობილი მსახიობი.

**1843 — ედვარდ გრიგი,** ნორვეგიელი კომპოზიტორი.

**1965 — ალბერტ შვაიცერი,** ფრანგი თეოლოგი, მისიონერი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1989 — ჟორჟ სიმენონი,** ფრანგი მწერალი, დეტექტიური რომანების ავტორი.

### მოვლენები:

**1024 წელი** — კონრად II გერმანიის მეფე გახდა.

**1781 წელი** — 44 ესპანელმა მისიონერმა ლოს-ანჯელესი დააარსა.

**1888 წელი** — ჯორჯ ისთმენმა „კოდაკის“ ფოტოკამერა დააპატენტა.

**1964 წელი** — NASA-მ კოსმოსში პირველი ორბიტული გეოფიზიკური ობსერვატორია გაუშვა.

**1963 წელი** — ლიბანში სამოქალაქო ომმა იფეთქა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**პაკისტანი** — თავდაცვის დღე

**ჩილე** — ეროვნული გაერთიანების დღე.

**სვაზილენდი** — დამოუკიდებლობის დღე.

**ბულგარეთი** — აღმოსავლეთ რუმელიასთან გაერთიანების დღე.

## შეხვედრა შეხვედრისთვის

# საქართველოს ნეიტრალური პოზიცია გადაარჩენს?

**გუშინ საქართველოში რუსი ჟურნალისტების ჩამოსვლას სერიოზული ინციდენტი მოჰყვა. ერთ-ერთი მათგანი მაქსიმ შევჩენკო თბილისშია და ახლად აშენებულ, ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „რედისონში“ გამართულ რუსეთ-საქართველოს საზოგადოებრივ შეხვედრასაც ესწრებოდა. შეხვედრა მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ პრეზიდენტ მალხაზ გულაშვილის ინიციატივით გაიმართა. სიტყვით გამოვიდნენ მამუკა არეშიძე, თენგიზ პაჭკორია, მამუკა ქავთარაძე, ალან კასაევი, პეტრე მამრაძე...**



მედიაჰოლდინგის პრეზიდენტმა მალხაზ გულაშვილმა განაცხადა, რომ იგი სოსო ჯაჭვლიანთან, მამუკა ქავთარაძესთან, მეუფე პეტრესთან და სხვა პიროვნებებთან ერთად 2008 წლის დეკემბერში მოსკოვში იმყოფებოდა, საზოგადოებრივ პალატაში შეხვედრის დროს პალატის წევრებს სთხოვეს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რაღაც დონეზე შეცვლილიყო, საჰაერო მიმოსვლა აღდგენილიყო და ქართული პროდუქტები რუსულ ბაზარს დაბრუნებოდა. ამასთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — ისაუბრეს ლტოლვილებისთვის დახმარების აღმოჩენაზე. მალხაზ გულაშვილი მამუკა არეშიძესთან ერთად იმყოფებოდა მინსკში, ყარაბახში და ასევე პერიოდულად შეხვედრებს ესწრებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. ბატონმა მალხაზმა განმარტა, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი არ არის აღფრთოვანებული მათი შეხვედრებით, მაგრამ უარყოფითი ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამთ. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია, საერთაშორისო გეოპოლიტიკურ სისტემაში სწორი გზა უნდა ვიპოვოთ. 2000 წლის შემდეგ რუსეთში მოვიდა პატრიოტული ძალა, რომელიც, ჩემი აზრით, არავის არ დაანებებს ქვეყნის დანგრევას, — განაცხადა მალხაზ გულაშვილმა.

შეხვედრის დასასრულს კი მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დასძინა, რომ საქართველომ უნდა აირჩიოს ნეიტრალური პოზიცია, ის არ უნდა გაწევრდეს არც ერთ სამხედრო ბლოკში, ამას მხოლოდ საქართველოს დანგრევა მოჰყვება.

**ხატია მუსერიძე**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
99-62-77;
899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.